ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 25 მარტი, 2021 №49 (8578) ფასი: 60 თეთრი

სტამბოლში თეონა თუაშვილი მისმა პაკისტანელმა ქმარმა მოკლა?



გვ.4

გახარიას გამოჩენა დააზარალებს „სტრატეგია აღმაშენებელსა“ და „ლელოს“

გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენ ისევ ვიმყოფებით ამ პოსტბოლშევიკურ პერიოდში და ველოდებით სხვის დასკვნებს. ჯერ ხომ მიშელს ელოდებოდნენ, მერე დანიელსონს, ახლა ამერიკას. ვინ დარჩა, ვიღას ელოდებიან?!“

გიორგი ბარამიძე: „ივანიშვილს და სააკაშვილს თანაბარი შანსები უნდა ჰქონდეთ“

გვ.2

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა დასავლეთის პრიორიტეტად ცხადდება

გვ.4

გვ.3

„გახარია ვერ დაუპირისპირდება ივანიშვილს“

მურმან დუმბაძე: „არავითარი მესამე ძალა არ იქნება. თუ იქნება მესამე ძალა, ეს იქნება ფიქტიური, ვირტუალური“

კორნელი კაკაჩია: „დასავლეთში ხელისუფლებების მოქმედებებს ოპონენტების დევნად აფასებენ“

გვ.4

200 ლარი კოვიდის ტესტზე უარყოფითი პასუხისთვის

გვ.5

იმერეთში 1 პირი დააკავეს

ISSN 1987-9385

5 ჩუმლაყში მკვლელობისთვის დაკავებული მამაკაცი ციხიდან გამოუშვეს „სამართალს ჩვენი ხელით აღვასრულებთ“

6 ევროკავშირის ქვეყნებში პანდემია ძლიერდება

5 ლექსო ვალიაურმა გორის მერიას 48.000 ლარი მოუგო

4 გერმანიაში 350 სამუშაო ადგილზე საქართველოს 97.436 მოქალაქე აცხადებს პრეტენზიას

დავით ზალკალიანი: „ნატალი საბანაძესთან დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია“

– ნატალი საბანაძესთან არანაირ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია – თემის ხელოვნურად პოლიტიზირება ხდება.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა „პალიტრანიუსის“ ეთერში, გადაცემაში „დღის ნიუსრუმი“ განაცხადა.

როგორც ზალკალიანმა განმარტა, იყო შეთანხმება, რომ ასოცირების საბჭოს შემდეგ, საბანაძე საქმიანობის სხვა მიმართულებით გაგრძელებას აპირებდა.

– ნატალი საბანაძემ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა ახალი პოსტი, სადაც მკაფიოდ თქვა, რომ პირადი აზრი აქვს და ეს პირადი აზრი იყო გამოხატული. სამწუხაროდ, მისი ამ ნაბიჯის პოლიტიზირება ხდება. ნატალი საბანაძე იყო გამორჩეული ელჩი, რომელთანაც 8-წლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს. 8 წელი საკმაოდ დიდი ვადაა ელჩისთვის. ელჩის საქმიანობის ვადა 4-5 წელია. გამომდინარე იქიდან, რომ პირველ ვადაში საბანაძე იყო წარმატებული, მნიშვნელოვანი შედეგები დადო ასოცირების მოლაპარაკების და თავისუფალი ვაჭრობის პროცესში, ასევე სავიზო ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, მას გავუგრძელეთ პირველი ვადა, მაგრამ ამოიწურა 8 წელი.

მას ორ თვეში საქმიანობის 8 წელი უსრულდებოდა. ჩვენ შეთანხმებული ვიყავით, სანამ ასოცირების საბჭო გაიმართებოდა, რომ ასოცირების საბჭოს შემდეგ ის აპირებდა საქმიანობის სხვა მიმართულებით გაგრძელებას. ეს იყო და ეს, – განაცხადა მინისტრმა.

ელჩი აპოლიტიკური ფიგურაა და მას არჩევანის თავისუფლება აქვს.

– ელჩი საერთოდ არ არის მოლაპარაკების პროცესში ჩართული და მათ შორის, არც მე. მოლაპარაკების პროცესში ჩართული არის პოლიტიკური პარტია. ელჩი არის აბსოლუტურად აპოლიტიკური ფიგურა და დიპლომატი. თუკი მას რაიმე პოლიტიკური შეხედულება აქვს, ყველა ელჩს არჩევანის თავისუფლება აქვს. მას შეუძლია დატოვოს თანამდებობა და გააგრძელოს საქმიანობა პოლიტიკური მიმართულებით, – განაცხადა ზალკალიანმა.

მინისტრის თქმით, საბანაძის თემის პოლიტიზირება და სხვა საკითხებთან მიბმა ხდება და დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია.

– მე 30-წლიანი დიპლომატიური საქმიანობა მაკავშირებს უწყებასთან და 2008 წელს, როდესაც არ დავეთანხმე მაშინდელ ხელისუფლებას იმ გატარებულ პოლიტიკურ საგარეო კურსს და ასევე, შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ელჩის პოზიციიდან კი არ დავიწყე კრიტიკა, გადავდექი და შევუერთდი პოლიტიკურ გუნდს, რომელიც დავაარსეთ ჩვენ თანაგუნდელებთან ერთად და გავაგრძელე პოლიტიკური საქმიანობა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ხდება ამ თემის ხელოვნურად პოლიტიზირება და რაღაც საკითხებზე მიბმა. ადამიანი გამოვიდა და თქვა, რომ არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა მისი ინტერვიუსი. არანაირ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, გეუბნებით, როგორც მისი უშუალო ხელმძღვანელი და მინისტრი, – განაცხადა ზალკალიანმა.

რამდენიმე დღის წინ ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს ელჩმა, ევროკავშირში საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა ნატალი საბანაძემ თანამდებობა დატოვა.

თეა წულუკიანმა მის პირველ მოადგილედ კახა სიხარულიძე დანიშნა

გუშინ, 24 მარტს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, პირველ მოადგილედ კახა სიხარულიძე წარადგინა.

– ბატონი კახა ჩვენ ოთხს შორის ყველაზე პატივსაცემი ადამიანია, მას ჩვენ შორის აქვს ყველაზე დიდი გამოცდილება საჯარო სფეროში მუშაობისა და ასევე აქვს პოლიტიკურ თანამდებობებზე ყოფნის ჩვენზე მეტი გამოცდილება. ბატონი კახა სიხარულიძე გახლავთ კარიერული დიპლომატი, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის კიდევ 2 მოადგილე სოსო გიორგაძე და იოსებ ბაღათურია იქნებიან.

თეა წულუკიანი მინისტრად პრემიერ-მინისტრის ბრძანების შესაბამისად დაინიშნა. მის დანიშვნას ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი 19 მარტს მოაწერა.

პრემიერ-მინისტრის ბრძანებითვე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მიხეილ ჩხენკელი დაინიშნა.

ანრი ოხანაშვილი: „პარტიების დაფინანსებასა და უცხოეთის მოქალაქის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე კანონს მივიღებთ“

– პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასა და უცხო ქვეყნის მოქალაქის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობასთან დაკავშირებული კანონპროექტები აუცილებლად იქცევა კანონებად – მათ პარლამენტი მიიღებს, რადგან აღნიშნული პროექტების ლეგიტიმური მიზანი ვენეციის კომისიის მხრიდან კითხვის ქვეშ არ დამდგარა.

აღნიშნული განცხადება გუშინ, 24 მარტს, პარლამენტში, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა გააკეთა.

როგორც ოხანაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ვენეციის კომისიის დასკვნაში ვერსად ვნახავთ ფრაზას, რომ კანონპროექტები კანონად არ უნდა იქცეს.

დეპუტატის თქმით, ვენეციის კომისიის შეთავაზებაა, კანონპროექტების გადამუშავება, რასაც მმართველი გუნდი გაითვალისწინებს.

– ამაზე ვთანხმდებით, რადგან პროექტები ვენეციის კომისიაში იმიტომ გაიგზავნა, რომ კომისიის პოზიციაზე გვემსჯელა და პროექტი დაგვეხვეწა. პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონპროექტის სულისკვეთება ვენეციის კომისიამ გაიზიარა.

ვენეციის კომისიამ თქვა, რომ ის ოპოზიციური თუ არაოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ხალხის წარმომადგენლობის განხორციელებაზე ამბობს უარს, არ შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულ დაფინანსებას იღებდეს.

ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წუხს, როცა ოპოზიციური ჯგუფები პარლამენტის მანდატის ათვისებაზე ამბობენ უარს, ამით უარს დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობაზე ამბობენ და ირჩევენ გზას ქუჩისკენ. ვინაიდან, ვენეციის კომისიამ ჩვენ მიერ შემუშავებული კანონპროექტის სულისკვეთება გაიზიარა და თქვა, რომ თუკი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი უარს ამბობს ხალხის წარმომადგენლობის განხორციელებაზე, ლეგიტიმურია დაფინანსების კომპონენტში შეიზღუდოს.

ჩვენ მივიღებთ კანონს, რაც შესაბამისი იქნება კონსტიტუციასთან და რომლითაც დაცული იქნება საერთაშორისო სტანდარტები. ვენეციის კომისია „პროპორციულობაზე“ საუბრობს იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც საარჩევნო კამპანიაში უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩართვას ეხება. კომისია ამბობს არა იმას, რომ ასეთი ნორმის მიღება არ შეიძლება, არამედ წერს, რომ თუკი ასეთ ნორმას მივიღებთ, ის პროპორციული ღონისძიებებით უნდა იყოს გამოყენებული, – განუცხადა ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებს.

სალომე ზურაბიშვილი: „ამერიკის მთავარი გზავნილია, რომ ჩვენი პარტნიორობა გრძელდება“

– ამერიკის მთავარი გზავნილი ის არის, რომ ჩვენი პარტნიორობა გრძელდება, საქართველო განაგრძობს ევროატლანტიკურ გზაზე სვლას.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებაშია ნათქვამი, რომლითაც ის აშშ-ის სენატში საქართველოს საკითხზე გამართულ მოსმენას ეხმაურება.

პრეზიდენტის განცხადებაში ნათქვამია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დაძლევის პროცესში ამერიკა და ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგანან და მხარდაჭერას უცხადებენ.

ამასთან, როგორც სალომე ზურაბიშვილი განცხადებაში აღნიშნავს, აშშ-სა და ევროკავშირს სტაბილური და უფრო დემოკრატიული საქართველო სჭირდებათ.

პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველა მხარეს, უპირატესობა მიანიჭოს ქვეყნის და არა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს.

– ამერიკის სენატში გამართული მოსმენა კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორისათვის საქართველოსთან ურთიერთობა და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების ხელშეწყობა.

სენატორებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ გამოთქმული გარკვეული შენიშვნების მიუხედავად, ამერიკის მთავარი გზავნილი ის არის, რომ ჩვენი პარტნიორობა გრძელდება, საქართველო განაგრძობს ევროატლანტიკურ გზაზე სვლას და აშშ მხარს უჭერს საქართველოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შექმნილი პოლიტიკური კრიზისის დაძლევის პროცესში ამერიკა და ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგანან და მხარდაჭერას გვიცხადებენ.

აშშ და ევროკავშირი სრულად იზიარებენ ეუთოს დასკვნას, რომლის თანახმადაც, 2020 წელს საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში, ფუნდამენტური უფლებების დაცვით ჩატარდა.

ამერიკასა და ევროკავშირს სტაბილური და უფრო დემოკრატიული საქართველო სჭირდებათ, როგორც ძლიერი და საიმედო პარტნიორი გამოწვევებით სავსე რეგიონში.

კვლავ მოვუწოდებ ყველა მხარეს, უპირატესობა მიანიჭოს ქვეყნის და არა ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებს. შექმნილი კრიზისის გახანგრძლივება მხოლოდ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებისთვის არის ხელსაყრელი. ქვეყანას კი სჭირდება სტაბილურობა, რომლის მიღწევასაც მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებით და ახალი დემოკრატიული რეფორმების გატარებით შევძლებთ, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

გიორგი ბარამიძე: „ივანიშვილს და სააკაშვილს თანაბარი შანსები უნდა ჰქონდეთ“

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციაა, რომ რიგგარეშე არჩევნები ქვეყანაში წელსვე ჩატარდეს და „ამას ბევრი ოპოზიციური პარტია იზიარებს“.

როგორც ბარამიძემ ტელეკომპანია „პალიტრანიუსს“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს და ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ბიძინა ივანიშვილს თანასწორი შანსით დაუპირისპირდეს.

– როგორ მივდივართ ვადამდელ არჩევნებზე, ეს სხვა საკითხია და თუ იქნება გონივრული კომპრომისები, შესაძლებელია საუბარი, მაგრამ წინასწარ არანაირ პლებისციტზე არ ვსაუბრობთ.

ჩვენი ამოცანაა, რიგგარეშე არჩევნები წელსვე ჩატარდეს. არ გვაქვს დასაკარგი დრო და თუ ორივე მხარე – ხელისუფლებაც და ოპოზიციაც პასუხისმგებლობას გრძნობს, მაშინ ეს არჩევნები უნდა დაინიშნოს, რომ ქვეყანა ამ მდგომარეობიდან გამოვიდეს. ამიტომაა ვადამდელი არჩევნები საჭირო.

ვადამდელი არჩევნების მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩასატარებლად, როგორც მინიმუმ, სამი პირობაა აუცილებელი – ქვეყანაში არ უნდა იყოს პოლარიზება და ხელისუფლება არ უნდა იჭერდეს მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერს და ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი ტელევიზიის დამფუძნებელს. არ უნდა იყვნენ პოლიტიკური დევნილები.

ჩვენ გვყავს პოლიტიკური პარტიის ლიდერი, რომელიც დევნილობაშია და არ აძლევენ საშუალებას, თანასწორშანსიან კონკურენციაში დაუპირისპირდეს მთავარ ოპონენტს. აქეთაა ივანიშვილი, აქეთ უნდა იყოს სააკაშვილი – ეს არის სამართლიანი. თუ სააკაშვილი ვიღაცას არ უყვარს, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენც არ გვიყვარს ივანიშვილი, მაგრამ ხომ არ ვამბობთ, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. იმათ არ უყვართ მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ როგორ შეიძლება თუ სამართლიანობაა, მიხეილ სააკაშვილს არ შეეძლოს საკუთარ ქვეყანაში იყოს და თავის პარტიასთან ერთად იბრძოლოს? – განაცხადა ბარამიძემ.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეფერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გახარიას გამოჩენა დააზარალებს „სტრატეგია აღმაშენებელსა“ და „ლელოს“

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენ ისევ ვიმყოფებით ამ პოსტბოლშევიკურ პერიოდში და ველოდებით სხვის დასკვნებს. ჯერ ხომ მიშელს ელოდებოდნენ, მერე დანიელსონს, ახლა ამერიკას. ვინ დარჩა, ვიღას ელოდებიან?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას? სენატორების განცხადებებიდან, ორივე მხარემ სათავისო დასკვნები გამოიტანა. ხელისუფლება ამბობს, რომ მართალია და მის მხარეს არის ამერიკა და ზუსტად იგივეს ამბობს ოპოზიციაც. რას იტყვით თქვენ?

– მე ასე ვიტყოდი, რომ ძალიან კარგად გამოხატა ეს განწყობა სენატორმა შაჰინმა, რომელმაც თქვა, რომ სანამ პოლიტპატიმრები არიან ციხეში, მანამდე რუსეთი ხარობს და სანამ პარლამენტი ცარიელია და დეპუტატები არ შედიან პარლამენტში, ასევე რუსეთის სასარგებლოდ არის ყველაფერი, წაგებული კი არის საქართველო. ამიტომ მე რაღა უნდა დავამატო იმას, რაც შაჰინმა თქვა. ორმხრივი იყო ეს მოწოდებები და ორივე მხარეს ეხებოდა.

– ოპოზიციასაც მოუწოდეს, რომ უნდა შევიდნენ პარლამენტში. თუმცა ხელისუფლების მისამართითაც იყო სერიოზული კრიტიკა.

– რა თქმა უნდა, იყო მძაფრი განცხადებები იმის შესახებ, რომ დემოკრატიის გზიდან აცდენა მოხდა, უკუსვლა არის და ა.შ. ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა ხელისუფლებისთვის. მეორე მხრივ, ჩემი აზრით, ძალიან არასასურველი განცხადება იყო, როდესაც ითქვა, ლეგიტიმაციის ზღვარზე მყოფი არჩევნები. ანუ, ლეგიტიმაციის ზღვარზე, მაგრამ ლეგიტიმური იყოო. ვადამდელ არჩევნებზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი. ამიტომ იმის დახატვა ხელისუფლების მხრიდან, რომ ეს ჩვენი გამარჯვებაა, ან ოპოზიციის მხრიდან, რომ მათი გამარჯვებაა, ეს არასწორია.

– მაინც გამოიკვეთა, რომ ვადამდელი არჩევნებისკენ არ მოუწოდებს ხელისუფლებას არც ევროპა და არც ამერიკა?

– ძირითადად ისეთივე მოწოდებებია, რაც აქვს ევროკავშირს.

– დანიელსონის მედიატორობით კვლავ უნდა განახლდეს მოლაპარაკებები. ისეთი უთავბოლო პოლიტიკოსები გვყავს, რომ სხვისი ჩარევის გარეშე ვერ ახერხებენ მოლაპარაკებას?

– სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. აქ სერიოზულ გავლენებსა და ძალაუფლებაზეა საუბარი. ასეთ დროს მოლაპარაკება რთულია. ეს არის დიდი ხნის განმავლობაში კოლონიზებული ერის სინდრომი, რომელიც მიჩვეულია იმას, რომ მას უნდა ჰყავდეს ვიღაც პატრონი და იმ პატრონს ელოდება მუდამ. სამწუხაროდ, ჩვენ ისევ ვიმყოფებით ამ პოსტბოლშევიკურ პერიოდში და ველოდებით სხვის დასკვნებს. ჯერ ხომ მიშელს ელოდებოდნენ, მერე დანიელსონს, ახლა ამერიკას. ვინ დარჩა, ვიღას ელოდებიან?!

– ყველამ თავის სათქმელი თქვა, მაგრამ რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი?

– პირველ რიგში უნდა იყოს ის, რომ საქართველომ უნდა მიიღოს ნორმალური პარლამენტი. კარგად დაკომპლექტებული პარლამენტი როგორც ოპოზიციიდან, ისე ხელისუფლებიდან. კი ბატონო, ეუბნებიან, რომ იყო დარღვევები, მაგრამ ისეთიც არ იყო, რომ არ შეხვიდეთ პარლამენტში. რას ჰქვია არ შედიხართ?! ლაპარაკი იმაზე, რომ ვადამდელი არჩევნები დადასტურებულად მოითხოვოს ვიღაცამ, გარედან, ასეთი რამ არ არის. ამ სიტუაციაში არის მეორე გზა, უნდა გამოვიდეს ხალხი ქუჩაში და თქვას, რომ არც ამერიკელები მინდა, არ რუსი და არც ევროპელი, მე მოვაგვარებ ჩემს პრობლემას.

– მაგრამ ხალხი რომ არ გამოდის?

– დიახ, აი, ეს კიდევ ცალკე საკითხია. არ გამოდის ხალხი. ის განცხადებები, რაც ამერიკაში გაკეთდა, მე ძალიან მომეწონა იმ თვალსაზრისით, რომ ეს მიმართვები იყო არა მხოლოდ ოპოზიციის და ხელისუფლების მისამართით, არამედ საზოგადოების მიმართ. საზოგადოება არის თუ არა მზად დემოკრატიზაციისთვის. არის საზოგადოებაში იმის მოთხოვნა, რომ წინ წავიდეთ ამ მიმართულებით?!

– როდესაც ოპოზიციის პოზიციაზე ვსაუბრობთ, გამოიკვეთა ერთი ჯგუფი, რომელიც აღარ არის თანახმა, გაყვეს ნაცმოძრაობის დღის წესრიგს. არ უნდათ ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ სიარული. შესაძლოა, რომ პარლამენტში ვიხილოთ ეს პარტიები? საუბრია „გირჩსა“ და „სტრატეგია აღმაშენებელზე“.

– სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ სიარულს მაინც ვერ ასცდებიან, იმიტომ, რომ ადგილობრივი არჩევნებია კარს მომდგარი. თუ ისინი არჩევნებში იღებენ მონაწილეობას, მაინც მოუწევთ კარდაკარ და ქუჩა-ქუჩა სიარული. ეს უფრო ალბათ პოზაა იმ თვალსაზრისით, რომ მე აღარ მინდა ნაციონალურ მოძრაობასთან ვასოცირდებოდეო.

– ანუ ემიჯნებიან?

– კი, კაცო, დაიწყება ეგ პროცესი, რად უნდა მაგას ლაპარაკი. დაინახეს, რომ არაპოპულარული ხდება ნაციონალური მოძრაობა და, შესაბამისად, დაიწყება გამიჯვნა. თავიდან ის რომ მოხერხდა, ასეთი ეკლექტური ოპოზიცია შეიკრიბა ერთი მაგიდის გარშემო ფანჩატურში, ეს არის იმის გამოძახილი, რომ „ქართული ოცნება“ არის ძალიან ცუდი და ძალიან სუსტი. აი ამიტომ მოხდა ამ ხალხის იქ შეკრება. ახლა კი თავისთავად მოხდება მათი დაშლა. ეს გარდაუვალი პროცესია. არჩევნებია წინ და გადალაგება მოხდება სხვადასხვა ჯგუფებად.

– ბატონო მამუკა, ორიოდე დღის წინ, გიორგი გახარია გააქტიურდა. უკვე გაკეთდა შეფასებები, რომ შესაძლოა სწორედ ის იქცეს მესამე ძალად. უკვე უამრავი ვერსია მოვისმინეთ, ზოგი მიიჩნევს, რომ ბიძინას პროექტია, ზოგი ამბობს, რომ ოპოზიციას შეეკვრება. რას ფიქრობთ თქვენ?

– სანამ გახარიას არ გაუკეთებია მკვეთრი განცხადება, ჯერ არავინ არ იცის, ვინ არის და რა უნდა. ზოგი ამბობს, რომ რუსეთიდან არის გამოგზავნილი, ზოგი თვლის, რომ ის არის ბიძინას კაცი. ზოგი ამბობს, რომ თავის თამაშს ითამაშებს და დამოუკიდებელი იქნება. არ ვიცით, ახლა ადრეა ამაზე ლაპარაკი, იმიტომ, რომ რაღაცა მკვეთრი განცხადება ამ ადამიანს არ გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებას მობეზრდა ერთი მხრივ „ქართული ოცნება“, მეორე მხრივ, აღარ უნდა ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება და ეძებს ვიღაცა მესამეს. ეს თუ ასე მოხდა, ძალიან კარგი იქნება.

– ანუ, კარგ როლს ითამაშებს გახარია თუკი გააქტიურდება?

– ჩემი აზრით, ეს იქნება ძალიან პოზიტიური როლი.

– შუაშისტებს მთლიანად წაიყვანს?

– ყოველ შემთხვევაში, ძალიან დააზარალებს აღმაშენებელს და ლელოს. „ოცნებიდანაც“ ბევრ ხმას წაიღებს. არც ის არის გამორიცხული, რომ პარლამენტში გამოიკვეთოს მისი მხარდამჭერი ჯგუფი. ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, თუ ვის თამაშს ითამაშეს გახარია, რადგან მას მკვეთრი განცხადებები არ გაუკეთებია. ჯერ მედიაში არ გამოჩენილა აქტიურად. ისიც ძალიან საინტერესოა, პროსახელისუფლებო მედიაში გამოჩნდება თუ პროოპოზიციურში. რომელიმე პოლიტიკურ ძალაში ვიხილავთ მას თუ თავად შექმნის ახალს, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. წესით, მალე გააქტიურდება, რადგან დარწმუნებული ვარ, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს.

– თავისი გუნდი ასე გამოკვეთილად არ ჰყოლია, საინტერესოა, ვინ უნდა შემოიკრიბოს?

– ალბათ, ძალოვნებიდან იქნებიან ძირითადად.

– ნატალია საბანაძის წასვლაზე რას ფიქრობთ?

– ისეთი სერიოზული დაპირისპირება მომხდარა მასა და პრემიერ ღარიბაშვილს შორის, ახლა, ბრიუსელში ვიზიტის დროს, რომ წავიდოდა ნამდვილად. უბრალოდ, არ მინდა ჭორაობა დავიწყო, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ სერიოზულად დაეტაკნენ ერთმანეთს.

– ამ ვიზიტისას დაუპირისპირდნენ თუ მანამდეც მზადდებოდა ნატალია საბანაძის გაშვება?

– არა, სწორედ ამ ვიზიტისას მოხდა ეს ყველაფერი. ძალიან არასასიამოვნო საუბარი მოხდა მათ შორის და მოდით, ნუ შევალთ დეტალებში.

– ანუ ღარიბაშვილმა გაუშვა?

– კი, ასე იყო. 8 წელია ელჩია ევროკავშირში და, გარდა იმისა, რომ კარგი განათლება აქვს პოლიტოლოგიაში, ამ ხნის მანძილზე სერიოზულ გამოცდილებას მიიღებდა ამ პოსტზე. ძალიან სამწუხაროა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ასეთ კადრს კარგავს.

ალეკო ელისაშვილი: „სენატში ნაჯახივით კითხვები იყო“

– სინამდვილეში არავისთვის ყურები არ აუწევიათ – იყო კეთილგანწყობილი, მეგობრული, მაგრამ ძალიან კრიტიკული და ობიექტური განხილვა.

ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა ტელეკომპანია „პალიტრა-ნიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

ელისაშვილი სენატორების განცხადებებს საქართველოსთვის სამარცხვინოს უწოდებს. ამასთან, როგორც ის აღნიშნავს, განხილვაზე გულწრფელი კითხვები დაისვა, მათ შორის იმასთან დაკავშირებით, ასრულებს თუ არა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ რუსეთის დავალებებს.

– გულახდილი კითხვები იყო, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს ჰკითხეს, ემსახურება თუ არა ივანიშვილი რუსებს და ასრულებს თუ არა ის ან „ქართული ოცნება“ რუსეთის დავალებებს. ნაჯახივით კითხვები იყო.

ფაქტია, მხარს უჭერენ საქართველოს, მაგრამ გვაძლევენ შენიშვნებს, გვეუბნებიან, მართლმსაჯულებას, საარჩევნო სისტემას, ქვეყანას მიხედეთ. ყველაზე სამარცხვინო კი, რაც გვესმის, ის არის, რომ თქვენი პარტიული ინტერესის იქით დაინახეთ ხალხის ინტერესები.

კიდევ, რაც სამარცხვინო გვითხრეს, ესაა – ხალხსა და რეალურ პრობლემებზე იფიქრეთ, კორონავირუსს და ეკონომიკას როგორ ებრძოლოთ, უმუშევრობას რა უნდა მოუხერხოთ. ამას რომ გეტყვიან, არ უნდა შეგრცხვეს, ქართველი პოლიტიკოსი რომ ხარ? – განაცხადა ელისაშვილმა.

„გახარია ვერ დაუპირისპირდება ივანიშვილს“

მურმან დუმბაძე: „არავითარი მესამე ძალა არ იქნება. თუ იქნება მესამე ძალა, ეს იქნება ფიქტიური, ვირტუალური“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, გამორიცხავთ, გახარია დამოუკიდებლად მოქმედებდეს და მის უკან ივანიშვილი არ იდგეს?

– გიორგი გახარია ვერ დაუპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს, ეს გამორიცხულია. თუ ასეა, მაშინ მას თავისი პოლიტიკური გუნდი უნდა ჰყავდეს. ვინ არის ეს პოლიტიკური გუნდი, სად არის ეს ხალხი?! გუშინ გადამდგარი საბანაძე?! რა, საბანაძე მივა გახარიასთან და იტყვის, მორჩა, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებიდან არის გასაგდები?! ეს ხომ გამორიცხულია!

– მაშ რა ხდება?

– ტრიუკია დასავლეთის დასანახად. ნახეთ, როგორი დემოკრატი ვარ, ჩემი დაფუძნებული პარტიის დამარცხებაც კი დავუშვი და მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა. ხომ ითხოვდა ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს, ა ბატონო, დავნიშნე არჩევნები.

ახლა ივანიშვილის ამოცანაა, პარლამენტში იხილოს ოპოზიცია. მისთვის არც ის არ იქნება დიდი კრახი თუ „ქართული ოცნება“ დამარცხდება და ოპოზიცია გაიმარჯვებს. მთავარია, ამ ოპოზიციის სათავეში არ იყოს მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“. მისი ამოცანაა საკუთარი უსაფრთხოება, ქონების დაცვა და ვინც ამის გარანტიებს მისცემს, ის დაუშვებს მის გამარჯვებას.

– ოპოზიციის გამარჯვებისთვის მზად არის?

– არ გამოვრიცხავ. მაგალითად, თუ გახარიამ შემოიკრიბა ის ძალები, რომლებიც დღეს ივანიშვილის ოპონენტები არიან, თუნდაც „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“, „ლელო“, ბიძინა ივანიშვილი ამის წინააღმდეგ არ წავა. ის იტყვის, ეს არის ამომრჩევლის ნება, ეს არის თავისუფალი



არჩევნების შედეგები. ამას ეტყვის დასავლეთს. ამით ივანიშვილი შეეცდება მიიღოს გარანტიები, როგორც მისი უსაფრთხოების, ისე მისი ქონების. მას არ აინტერესებს არც გახარია, არც ღარიბაშვილი და არც კობახიძე. ამ ამოცანის შესასრულებლად, რა თქმა უნდა, მას გახარია აწყობს, მაგრამ დღეს არის მოცემულობა ასეთი: ან უმრავლესობა დგება „ნაციონალური მოძრაობის“ და სააკაშვილის ირგვლივ, ან „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის ირგვლივ.

– მესამე ძალის ფორმირებას გამორიცხავთ?

– გამორიცხულია. არავითარი მესამე ძალა არ იქნება. თუ იქნება მესამე ძალა, ის იქნება ფიქტიური, ვირტუალური. ეს იქნება ცრუ მესამე ძალა. რეალურად მის უკან იქნება ბიძინა ივანიშვილი. ეს იქნება ტექნიკური გადათამაშება.

– „ქართული ოცნების“ ლიდერები ძალიან მოზომილ კომენტარებს აკეთებენ გახარიასთან დაკავშირებით. არ იციან, რეალურად რა ხდება. ალბათ ფიქრობენ, ვაითუ მართლაც ივანიშვილის პროექტია, მაგრამ უკვე დაწყებულია ერთგვარი ბრძოლა შიგნით, კომპრომატების ომია გაჩაღებული. ეს ბრძოლა გაგრძელდება?

– გარდაუვალად გაგრძელდება. კომპრომატების ომი დიდი ხანია დაიწყო. ახალ-ახალი ცეცხლის გახსნა იქნება. რასაკვირველია, გახარიასა და ღარიბაშვილს, ქვეცნობერის დონეზეც რომ დავუშვათ, ერთმანეთი ეზიზღებათ. ბუნებრივია, რომ გახარიას ღარიბაშვილის ჩამოცილება აწყობს, მაგრამ ამას ღიად არ გააკეთებს, ამას ისევ ივანიშვილის ხელით გააკეთებს და არა მიხეილ სააკაშვილის, ან შალვა ნათელაშვილის, ან „სტრატეგია აღმაშენებლის“ ხელით. გახარიას ურჩევნია, კობახიძე და მთელი „ქართული ოცნება“ ჩამოიცილოს ისევ ივანიშვილის ხელით. საქმეც ესაა!

– ამ შემთხვევაში გამორიცხავთ ვადამდელ არჩევნებს?

– არათუ გამოვრიცხავ, ველოდები კიდეც. ვადამდელი არჩევნები ახლა ბიძინა ივანიშვილსაც აწყობს. ასეთი მოლოდინიც კი მაქვს, „ქართული ოცნების“ რომელიმე ლიდერი გამოვა და იტყვის – მივიღეთ გადაწყვეტილება, ვადამდელი არჩევნები დავნიშნოთო.

– ოპოზიცია რამდენად ხართ მზად ვადამდელი არჩევნებისთვის?

– არათუ მზად ვართ, მთელი ამ ხნის მანძილზე ამას ვითხოვთ. ამომრჩევლის 52% თვლის, რომ „ქართული ოცნება“ არ უნდა იყოს ხელისუფლებაში. ამიტომ, ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია და ჩვენ, ოპოზიცია, ამისთვის უნდა ვიყოთ მზად. ასევე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნიკა მელია ციხიდან გამოვა, მაგრამ ნიკა მელიას ციხიდან გამოშვებით პოლიტიკური კრიზისი ვერ მოიხსნება, ახალი არჩევნების დანიშვნაა ამისთვის საჭირო.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა დასავლეთის პრიორიტეტად ცხადდება

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის სენატის საგარეო კომიტეტის ქვეკომიტეტში საქართველოს შესახებ გამართული მსჯელობა კიდევ კარგა ხანს იქნება ყურადღების ცენტრში. სხვა ბევრ რამესთან ერთად, სხდომაზე ისიც ითქვა, რომ რუსეთი ცდილობს სიტუაციის არევას საქართველოსა და უკრაინაში. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ჯორჯ კენტი აღნიშნავს, რომ რუსეთი ფსონს დებს საქართველოსა და უკრაინის პოლიტიკისა და ეკონომიკის დესტაბილიზაციაზე. თუ ისინი დანებდებიან, რუსეთი იქ დაამყარებს კონტროლს დაპყრობის გარეშე.

განხილვა დაემთხვა აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვას.

საქართველოსა და უკრაინაზე კიდევ ერთი განცხადება გააკეთა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა:

– ნატომ გაზარდა თავისი ყოფნა შავ ზღვაზე. ამ რეგიონის სამი ქვეყანა – თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი ალიანსის წევრები არიან, საქართველო და უკრაინა კი – პარტნიორები. ჩვენ გავზარდეთ ჩვენი წარმომადგენლობა

ხმელეთზეც, ზღვაზეც და ჰაერშიც. გავაძლიერეთ თანამშრომლობა ახლო და ძალიან დასაფასებელ პარტნიორებთან – საქართველოსა და უკრაინასთან.

ალიანსის გენმდივნის თქმით, საქართველო და უკრაინა პრეტენზიას აცხადებენ ნატოს წევრობაზე.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ რეფორმებს, რათა მათ განაგრძონ ევროატლანტიკური გზა, – აღნიშნა სტოლტენბერგმა.

შავ ზღვაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაძლიერება და საქართველოსთან თანამშრომლობა მთიან ყარაბაღში შექმნილი ახალი რეალობის პირობებში აწუხებს უსაფრთხოების ორგანიზაცია ოდკბ-ს, რომლის წევრები რუსეთისა და სომხეთის გარდა, არიან ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და თურქმენეთი.

ორგანიზაციის შტაბის უფროსი სიდორივი აცხადებს, რომ საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის აქტივიზაცია აისახება ომისშემდგომ მოგვარებაზე სამხრეთ კავკასიაში.

საინტერესოდ ვითარდება მოვლენები უკრაინაში. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს გადწყვეტილებას სანქციების შესახებ.

უკრაინის სანქციებში მოხვდა რუსეთის 23 წარმომადგენელი, მათ შორის, თანამდებობის პირები და სენატორები და 81 რუსული კომპანია, ასევე 3 ფრანგი ევროდეპუტატი. ევროპარლამენტის წევრები რუსებს ყირიმში ჩასვლის გამო გაუთანაბრეს.

უკრაინის პრემიერმა დენის შმიგალმა კი გაიზიარა აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ფრაზა იმის შესახებ, რომ პუტინი მკვლელია.

გერმანულ მედიასთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ უკრაინა უკვე 8 წელიწადია იგერიებს რუსეთის აგრესიას, ამ წლებმა წაიღო 10 ათასზე მეტი სიცოცხლე.

შმიგალმა მოითხოვა ევროკავშირისაგან რუსეთისთვის სანქციების გამკაცრება. იგი გამოვიდა გაზსადენ „ჩრდილოეთ ნაკადი 2-“-ის წინააღმდეგაც და თქვა, რომ ამ პროექტის ექსპლუატაციაში შესვლა გაზრდის რუსეთის შემოსავლებს, რომელსაც ის სხვა რამესთან ერთად, მოახმარს მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ არსებობს ამერიკული ინიციატივა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას სამხედრო ალიანსის შექმნის თაობაზე.

მოხდება თუ არა ამის რეალიზება, ძნელი სათქმელია. უდავოა დასავლეთის გააქტიურება საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში.

მოლდოვაში მალე მიიღებენ ლუსტრაციის კანონს. კანონპროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ ლუსტრაციის შედეგად გაირკვევა, რატომ ვერ მოქმედებენ სათანადო პირები და უწყებები სავალუტო პოლიტიკაზე და კარტელურ გარიგებებზე საწვავის სფეროში.

ამ სიტუაციაში, დიდი ალბათობით, საქართველო უკრაინას და მოლდოვას არ აჰყვება. ჯერჯერობით საქართველოში ისევ ქაოსური ვითარებაა, ლუსტაციის კანონის მიღებაზე კი არავინ ფიქრობს.

კორნელი კაკაჩია: „დასავლეთში ხელისუფლებების მოქმედებებს ოპონენტების დევნად აფასებენ“

იაგო ნაცვლიშვილი

აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპის და რეგიონული უსაფრთხოების ქვეკომიტეტში გაიმართა მოსმენა საკითხზე — „დემოკრატიის განმტკიცება საქართველოში“. სხდომას ხელმძღვანელობდა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, დემოკრატი სენატორი ჯინ შაჰინი, რომელმაც თქვა, რომ ყოველი დღე, როცა ოპოზიციის წევრები ციხეში არიან, რუსეთის გამარჯვებაა. სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ჯორჯ კენტი კი აცხადებს, რომ მელიას დაპატიმრება იყო უკან გადადგმული ნაბიჯი ქართული დემოკრატიისთვის.
რა გზავნილები გაკეთდა შეერთებული შტატების მხრიდან და რატომ გასცდა მათი რიტორიკა დიპლომატიის ენას? რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას ამის შემდეგ თუ ისევ არ მოხდება ხელისუფლების მხრიდან მისი გათავალისწინება და უნდა ველოდოთ თუ არა სანქციებსაც? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი კორნელი კაკაჩია საუბრობს.

– ამერიკის სენატში საქართველოს საკითხზე მოსმენა გაიმართა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თქვენ? მე გამიჩნდა განცდა, რომ ამერიკის რიტორიკა გასცდა დიპლომატიის ენას, რამდენად სწორად გავიგე და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ოცნებას“ აღარ ესმის დიპლომატიური ენა?

– საუბრებიდან, რაც სენატში იყო, ჩანს, რომ თუ არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ მათი გზავნილები, სავარაუდოდ, უკვე უნდა ველოდოთ ქმედებებს სენატისა და კონგრესისგან. მათ შორის მინიშნებები იყო ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რომელიც ცოტა ხნის წინაც იყო შეტანილი რამდენიმე საკანონმდებლო აქტის სახით, მაგრამ ბოლო მომენტში უკან გამოიწვიეს, მაგრამ ახლა თუ ასე გაგრძელდა, ის ამოქმედდება. ეს სერიოზული პრობლემა იქნება ხელისუფლებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ აქამდე იძახდნენ, რომ ეს რეალური არ არის და ჩვენ ყველაფერს ვაგვარებთ დასავლეთთანო და ა. შ. მაგრამ ასეთი ნაბიჯი თუ გადაიდგა, ეს იქნება დაახლოებით ისეთი აქტი, რაც მოხდა შევარდნაძის მმართველობის დროს.

შევარდნაძე ასევე ითვლებოდა აშშ-ის მეგობრად, ის მეგობრობდა შტატებში მეგობრებთან, მაგრამ დასავლეთისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ ქვეყანა ჩაფლული იყო კორუფციის ჭაობში და შემდეგ გვახსოვს, როგორც განვითარდა მოვლენები.

– როდესაც ფინანსურ ნაწილს ახსენებთ, ამაში გულისხმობთ დახმარებებს იმ პროექტების განხორციელებაში, რითაც ამერიკა ეხმარება საქართველოს და არა სანქციებს?

– დიახ. სანქციებს არ ვგულისხმობ ამ შემთხვევაში. სანქციები როგორ უნდა დაუწესო მეგობარ სახელმწიფოს, ეს არ ვიცი. გასაგებია, რომ ოპოზიციას თავისი დღის წესრიგი აქვს ამასთან დაკავშირებით, მაგრამ არა მგონია, რომ ამ ეტაპზე ეს იყოს რეალური. ბელარუსს და სხვა ქვეყნებს არ დაუწესეს სანქციები და მეგობარ სახელმწიფოს როგორ უნდა დაუწესონ?! მით უმეტეს, ქვეყანა რატომ უნდა დაზარალდეს ვიღაცების გამო?!

– პერსონალურ სანქციებსაც არ ელოდებით?

– არ ვიცი. თუ წავიდა გარკვეული პროცესები და ეს დაბრალდა კონკრეტულ პერსონებს, რომ ისინი ერეოდნენ და იყო კონკრეტული ფაქტები, მერე შეიძლება ამაზე საუბარი, მაგრამ ჯერჯერობით ნაკლებად არის მოსალოდნელი.

– დაახლოებით ასეთი გზავნილი იყო, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები, რაც რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ხელისუფლებას უთხრეს, რომ რუსეთის გზას ადგას?

– პრინციპში, ასეც შეიძლება გავიგოთ, რომ ასეთი სახით ურთიერთობა ოპოზიციასთან ახასიათებს სწორედ რუსეთს, ბელარუსს და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მაგრამ შენ თუ გინდა იყო დასავლეთის ნაწილი, მაშინ უნდა მოიქცეს ისე, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოებში იქცევიან. ანუ ოპოზიციას არ უნდა მოექცე ისე, როგორც მტერს. ამაზე იყო აქცენტი.

საჭიროა მეტი ჩართულობა ამ დემოკრატიულ პროცესში, სადაც ოპოზიციას ექნება თავისი როლი და ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობების შანსი, რისი საშუალებაც ახლა არ არის. არის სახელისუფლებო პარტია, მისი ფინანსური შესაძლებლობები და რესურსები სხვა სიბრტყეშია, ვიდრე ყველა პარტიის ერთად აღებულის.

დასავლეთს უნდა, რომ იყოს თანაბარი შესაძლებლობები და მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს პროცესი. ამაში გვაქვს მთელი რიგი პრობლემები და ეს არის გამოსასწორებელი.

– „ქართულ ოცნებაში“ მოვისმინეთ, რომ ყველაფერი კარგად არის. თეა წულუკიანმა ისიც კი თქვა, რომ აშშ-დან ჩვენმა პარტნიორებმა გვითხრეს, რომ მელიამ კანონი დაარღვია და ამის გამოა დაჭერილიო. პრობლემებისადმი აღქმა დაკარგეს მმართველ პარტიაში თუ ატყუებენ საზოგადოებას?

– ამ დისკუსიაში ორივე მხარეს აქვს თავისი დამოუკიდებელი არგუმენტები. გაჩნია, როგორ მიუდგები. თუ წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით მიუდგები, შესაძლოა ხელისუფლების არგუმენტები გასაგები იყოს, მაგრამ აქ არის პოლიტიკური კონტექსტიც. ჩვენ ხომ საქმე არ გვაქვს რიგით მოქალაქესთან? აქ საქმეა ოპოზიციური პარტიის ლიდერთან. დასავლეთში არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ ეს იყო საუკეთესო გამოსავალი კონკრეტულად მელიასთან დაკავშირებით.

თავისთავად ის ფაქტი, რომ ოპოზიციური პარტიის ლიდერი აღმოჩნდება საპყრობილეში, ეს კონტექსტში მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია. რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი დაპატიმრების გადაწყვეტილება პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე იყო და სწორედ აქედანაც იყო ეს ეჭვები. მე არ მახსენდება არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამე, რომ ხელისუფლებას დაეპატიმრებინა ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კითხვები იყოს.

ჯერ ერთი, ეს უნდა გადაწყვიტოს დამოუკიდებელმა სასამართლომ და ვინაიდან აქ არ არის სასამართლო, ეჭვი ჩნდება, რომ ეს არის ხელისუფლების გადაწყვეტილება. ბუნებრივია, რომ ბევრი შეკითხვა ჩნდება ამ საკითხზე და აქედან გამომდინარეა, რომ ამის გამო ხელისუფლების მოქმედებებს უყურებენ ისე, როგორც პოლიტიკური ოპონენტების დევნას.

სტამბოლში თეონა თუაშვილი მისმა პაკისტანელმა ქმარმა მოკლა?



სტამბოლში საქართველოს მოქალაქის მკვლელობასთან დაკავშირებით ახალი ვერსია გაჩნდა. თუ ადრე თურქული მედია და გარდაცვლილის ახლობლები მხოლოდ ყაჩაღების თავდასხმას განიხილავდნენ, ამჯერად საუბარია, რომ 26 წლის თეონა თუაშვილი მისმა მეუღლემ მოკლა.

მარიკა სონღულაშვილი, რომელიც თუაშვილს გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე ტელეფონით ესაუბრა, ირწმუნება, რომ მოკლულ გოგონას პაკისტანელ მეუღლესთან პრობლემები ჰქონდა და ბოლო საუბარშიც სწორედ ამას ამბობდა.

თურქულ მედიაში მკვლელობის დღესვე დაიწერა, რომ პოლიციას შემთხვევის ადგილზე დაჭრილი მამაკაცი, პაკისტანის მოქალაქე, სახელად ამირი, დახვდა და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პირველადი ინფორმაციით, ის უგონო მდგომარეობაში იყო, თუმცა გუშინ, 24 მარტს, სტამბოლში მცხოვრებმა ქართველებმა „კურიერს“ უთხრეს, რომ ის კლინიკიდან 23 მარტს საღამოს გამოწერეს, 24 მარტს კი პოლიციაში წაიყვანეს.

ერთ-ერთი, ვინც ამირის გამოჯანმრთელების და პოლიციაში გადაყვანის ფაქტს ადასტურებს, თუაშვილის მეგობარი თამარ სიჭინავაა.

პაკისტანელი მამაკაცის დაკავების შესახებ დაიწერა სოციალურ ქსელში ემიგრანტების ერთ-ერთ ჯგუფშიც.

მეუღლესთან კონფლიქტის, ან სხვა ტიპის პრობლემების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ მოკლული გოგონას ოჯახის წევრებს, რომლებიც მცხეთის რაიონში, ძალისში ცხოვრობენ. ამბობენ, რომ მხოლოდ მწირი ინფორმაცია აქვთ ყაჩაღობის შესახებ და განმარტებებს ოფიციალური უწყებებისგან ელოდებიან.

სტამბოლში, გუნეშლის რაიონში მკვლელობა 22 მარტს მოხდა. 26 წლის თეონა თუაშვილს სასიკვდილო ჭრილობები ცივი იარაღით მიაყენეს. ის თურქეთში ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ფაბრიკაში მუშაობდა.

მკვლელობის ძიების მიმდინარეობის, ან ეჭვმიტანილის დაკავების შესახებ ადგილობრივ პოლიციას ჯერჯერობით ოფიციალური ინფორმაცია არ გაუვრცელებია. მათგან ინფორმაციის მიღებას ელოდება თურქეთში საქართველოს საკონსულოც. დიპლომატიური უწყება გარდაცვლილის საქართველოში გადმოსვენების საკითხზე მუშაობს.

გერმანიაში 350 სამუშაო ადგილზე საქართველოს 97.436 მოქალაქე აცხადებს პრეტენზიას

გერმანიაში დასაქმება უკვე საქართველოს 97.436 მოქალაქეს სურს.

გერმანიაში დროებით ლეგალურ დასაქმებაზე განცხადებების მიღება მიმდინარეობს.

გერმანული მხარისგან ამ ეტაპზე 350-მდე ვაკანსიაა მოწოდებული. სპეციალურ პორტალზე რეგისტრაცია 15 თებერვლიდან დაიწყო. აპრილის დასაწყისში კი, შერჩეულ კანდიდატთა კონკრეტული რიცხვი ცნობილი გახდება.

დროებითი სეზონური დასაქმება საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება. დასაქმება შესაძლებელია სეზონურ სამუშაოებზე სოფლის მეურნეობის სექტორში, რაც სხვადასხვა სეზონური მოსავლის აღებას გულისხმობს.

ჩუმლაყში მკვლელობისთვის დაკავებული მამაკაცი ციხიდან გამოუშვეს

„სამართალს ჩვენი ხელით აღვასრულებთ“

ერთი პირის მკვლელობისა და ერთის მკვლელობის მცდელობისათვის ბრალდებული მამაკაცი გუშინ, 24 მარტს, პატიმრობიდან განთავისუფლდა. მიზეზი გამოძიებისათვის გათვალისწინებული ცხრათვიანი ვადის გასვლაა, რომელიც 2021 წლის თებერვლის ბოლოს ამოიწურა.

ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამოყენება გადაწყვიტა. მსაჯულების შერჩევის პროცესი თელავის რაიონულ სასამართლოში ნოემბრიდან მიმდინარეობს და ჯერჯერობით არ დასრულებულა.

ბრალდებულის გათავისუფლებამ მოკლული შოთა მაზმიშვილის ოჯახის პროტესტი გამოიწვია.

– უსამართლობის განცდა მაქვს. საშინელი განცდაა, როცა იცი, რომ შენი შვილი მიწაში წევს და ის 9 თვის მერე გამოვიდა გარეთ, – თქვა მოკლულის დედამ.

– 9 თვის განმავლობაში ჩვენ არ ვრეაგირებდით იმის გამო, რომ გვეგონა, კანონი განსჯიდა ამ ყველაფერს, თორემ, როგორც დღეიდან დავიწყებთ და ადვოკატი კი არა, ის, რაც არ გვინდოდა, რომ გაგვეკეთებინა და გვეგონა, რომ კანონი იმოქმედებდა, ჩვენ აღვასრულებთ, ჩვენ აღვასრულებთ ჩვენი ხელით სამართალს, – განაცხადა მოკლულის დამ, ნათია მაზმიშვილმა.

ადვოკატის თქმით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, რის გამოც პატიმრობაში არ უნდა იყოს.

„გარდაცვლილმა სხვა გზა არ დამიტოვა“

– მიუღებელი იყო, რაც მე დამემართა და დღესაც ძალიან ვნანობ ამას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მკვლელობა არც განზრახული ყოფილა, არც შურისძიება ყოფილა, სიტუაციამ მოიტანა, მე არ ვგრძნობ თავს სულ უდანაშაულოდ, მე არც ჩემ წილ პასუხისმგებლობას გავურბივარ. მოვითხოვ, რომ ვაგო იმ დანაშაულზე პასუხი, რაც დავაშავე, მაგრამ მე რაც 16-დან 20-წლამდე მომისაჯეს, ეს არ მეკუთვნის. მე არც ვინმე მყავს და არც არაფერი....

ნაფიცი მსაჯულები მოვითხოვე, მინდა, რომ ხალხმა განსაჯოს....სხვა გამოსავალი არ დამიტოვა, მე ჩემი თავისთვის უნდა მეშველა, იქ მოხდა, რაც მოხდა. ეგ იყო ერთადერთი პიროვნება, ვინც მე სასიკვდილოდ გამიმეტა, სასიკვდილოდ მირტყამდა და ძირს დამაგდო, მე დიალეზიანი ავადმყოფი ვარ.

გუშინ კომენტარი ბრალდებულმაც გააკეთა.

– სხვა გამოსავალი არ დამიტოვა, მე ჩემი თავისთვის უნდა მეშველა, – თქვა მან.

ბრალდებულის თქმით, გარდაცვლილი ძალადობდა და იძულებული გახდა, მოეკლა.

არანაირად არ დამზოგა გარდაცვლილმა, – განაცხადა ბრალდებულმა.

2020 წლის 28 ივნისს ღამით, ჩუმლაყში პირმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად 30 წლამდე მამაკაცი მოკლა, ხოლო 1 პირი მძიმედ დაჭრა.

დაპირისპირება სუფრასთან დაიწყო და შემდეგ ქუჩაში გაგრძელდა, რის შემდეგაც ეს დანაშაული მოხდა.

ლექსო ვალიაურმა გორის მერიას 48.000 ლარი მოუგო

გორის მერიის „კულტურის ცენტრის“ ყოფილი დირექტორი ლექსო ვალიაური ადგილობრივი ბიუჯეტიდან, კომპენსაციის სახით, 48.000 ლარს მიიღებს.

ამის შესახებ გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ 23 მარტს მიიღო.

უზენაესმა სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

„ქართლის“ ცნობით, ლექსო ვალიაური 2015 წლის 18 ნოემბრიდან ითხოვს სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ, გორის მერის ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას იმავე თანამდებობაზე და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

2019 წლის 13 თებერვალს, სააპელაციო სასამართლომ, 3 მოთხოვნიდან, მხოლოდ ერთი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

„მოსარჩელეს უნდა მიეცეს კომპენსაცია 12 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, რაც განსახილველ შემთხვევაში 12.000 ლარს შეადგენს.“ – აღნიშნულია 2019 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაში.

2021 წლის 23 მარტს კი კომპენსაცია გადამრავლდა დანარჩენ თვეებზე და გაიზარდა 48.000 ლარამდე.

2015 წელს ლექსო ვალიაურს, კომპენსაციის სახით, მხოლოდ 2.000 ლარი უნდა მიეღო, რადგან მისი ხელფასი 1.000 ლარს შეადგენდა, ხოლო სამსახურიდან გაუფრთხილებლად და კომპენსაციის გარეშე გაათავისუფლეს.

გორის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი ლექსო ვალიაურს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებდა. ამის დასამტკიცებლად ზურაბ ჯირკველიშვილს შიდა აუდიტის დასკვნა მოჰყავდა.

შიდა აუდიტმა დაადგინა, რომ კულტურის ცენტრის დირექტორმა ლექსო ვალიაურმა და კიდევ რამდენიმე თანამშრომელმა, პორტუგალიაში ანსამბლ „შავლეგოს“ წევრებთან ერთად, საბიუჯეტო თანხებით იმოგზაურეს. ვითარება გაართულა იმ გარემოებამ, რომ საცეკვაო ანსამბლი იყო კერძო და ის მერიას არ ეკუთვნოდა.

იმისათვის, რომ ანსამბლი და კულტურის ცენტრის წარმომადგენლები პორტუგალიაში გამგზავრებულიყვნენ, ვიზა სჭირდებოდათ. ვიზის ასაღებად კი, გორის მერის შუამდგომლობა იყო საჭირო.

– ლექსო ვალიაურმა მე მომატყუა, როცა შემომიტანა დოკუმენტი ხელმოსაწერად. მე არ ვიცოდი, რომ ანსამბლი იყო კერძო საკუთრება. მან დოკუმენტზე ხელი მოტყუებით მომაწერინა, – ამბობდა ზურაბ ჯირკველიშვილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ლექსო ვალიაურმა სამივლინებო ხარჯები გამოყო იმ ნებართვის შესაბამისად, რაც მას გორის მერმა მიანიჭა. სწორედ გორის მერის ხელმოწერილი დოკუმენტი უმყარებდა ზურგს ლექსო ვალიაურს. გორის მერმა კი ვერ დაამტკიცა, რომ ის შეცდომაში ვალიაურმა შეიყვანა და დოკუმენტზე ხელი მოტყუებით მოაწერინა.

საქაგლიშვილი: „საქმეში არ არის გვარამიას ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება“

თბილისის საქალაქო სასამართლოში, გუშინ, 24 მარტს, „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას პროცესი გაიმართა.

სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი წერილობითი მტკიცებულებები გამოიკვლიეს.

ნიკა გვარამიას ადვოკატის თქმით, საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია, რაც არაერთხელ დადასტურდა როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ასევე წერილობითი მტკიცებულებებით.

დიმიტრი საძაგლიშვილი აცხადებს, რომ პროცესი ნიკა გვარამიასა და თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება.

– გამოკვლევის შედეგად კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ამ საქმეში, რომელიც დაადასტურებს ნიკა გვარამიას ბრალეულობას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არანაირი დანაშაული არ არის ჩადენილი. რეალურად, ამ საქმის წარმოება ერთადერთ მიზანს ატარებს – ეს არის თავისუფალი მედიის დევნა ნიკა გვარამიას წინააღმდეგ პოლიტიკური მოტივაციით, რათა სარედაქციო დამოუკიდებლობაზე ჰქონდეს გავლენა და არ შეძლოს მან თავისუფალი მედიასაშუალების მენეჯერობა, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

ვაგიფ აქპეროვმა თანამდებობიდან იძულებით გადაყენების გამო პროკურატურას მიმართა

საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხი, ვაგიფ აქპეროვი, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტთან [ტმი] ერთად თანამდებობიდან იძულებით გადაყენების გამო პროკურატურას მეორედ მიმართავს.

„დღეს, 24 მარტს, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხი ვაგიფ აქპეროვი და ტმი კიდევ ერთხელ მიმართავენ განცხადებით საქართველოს პროკურატურას და მოითხოვენ ვაგიფ აქპეროვის დაზარალებულად ცნობასა და მისი თანამდებობიდან იძულებით გადაყენების ფაქტის დაუყოვნებლივ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიებას“ – ვკითხულობთ ტმი-ს განცხადებაში.

2021 წლის 21 მარტს „მთავარი არხის“ გადაცემა „პოსტ ფაქტუმში“ გავიდა სიუჟეტი, სადაც შსს-ის ყოფილი თანამშრომლის, ივანე გულაშვილის ინტერვიუს მიხედვით, ვაგიფ აქპეროვის კომპიუტერზე ვირუსული ფაილი ფარულად ჩაიტვირთა აქპეროვის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ფარულად მოპოვების მიზნით.

ტმი-ს განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ამ საქმეზე პროკურატურამ გამოძიება პირველად 2016 წლის 27 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ვაგიფ აქპეროვის მიმართვის საფუძველზე დაიწყო.

200 ლარი კოვიდის ტესტზე უარყოფითი პასუხისთვის

იმერეთში 1 პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, კორონავირუსის პისიარ კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

შემთხვევა იმერეთში მოხდა.

ბრალდებული ყალბ ცნობებს 200 ლარის სანაცვლოდ გასცემდა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ორ დაინტერესებულ პირს, იმერეთის რეგიონში მდებარე ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების სახელით, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის გარეშე, 200 ლარის სანაცვლოდ, დაუმზადა და გადასცა ახალი კორონავირუსის პისიარ ლაბორატორიული კვლევის უარყოფითი შედეგების ამსახველი დოკუმენტები“ – წერია უწყების განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დიდი ოდენობით, წინასწარ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული შეუვსებელი თაბახის ფურცლები.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი და 221-ე მუხლის მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

„ამოღებულია ფეხსაცმელი და ჩანთა“

აფრიკის დასახლებაში მე-9 სართულიდან 14 წლის გოგონა, ს.ც. გადავარდა

23 მარტს აფრიკის დასახლებაში მე-9 სართულიდან გოგონას გადავარდნის შესახებ შსს-მ განცხადება გაავრცელა:

„მიმდინარე წლის 23 მარტს, აფრიკის დასახლებაში სავარაუდო თვითმკვლელობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით.

გამოძიების დაწყებიდან მალევე, სამართალდამცველების მიერ მოხდა გარდაცვლილის ვინაობის დადგენა, გარდაცვლილი აღმოჩნდა 2006 წელს დაბადებული არასრულწლოვანი ს.ც.

გამომდინარე აქედან, გამოძიებაში სპეციალიზირებული გამომძიებლები ჩაერთნენ და საქმეზე გამოძიება თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარმა სამმართველომ განაგრძო.

საქმეს მონიტორინგს უწევს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი.

ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ამოღებულია გარდაცვლილი არასრულწლოვნის ტანსაცმელი, კერძოდ შემთხვევის ადგილიდან მისი ფეხსაცმელი, ხოლო მიმდებარე კორპუსის სახურავიდან არასრულწლოვანის კუთვნილი ჩანთა.

ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციის მატარებელი ნივთები. გამოიკითხა ოცამდე მოწმე, მათ შორის გარდაცვლილი არასრულწლოვანის ოჯახის წევრები, თანატოლები და საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირები.

არასრულწლოვანთა გამოკითხვების პროცესში ჩართულია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლები და ფსიქოლოგები. დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა.

მომხდარის გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით გრძელდება საგამოძიებო, ოპერატიული და საპროცესო ღონისძიებები“.

ზუგდიდში მატარებელი მანქანას დაეჯახა

მძღოლი კლინიკაში გადაიყვანეს

გუშინ, 24 მარტს, ზუგდიდში, მსუბუქი ავტომანქანა მატარებელს შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა ავტომანქანის მძღოლი, რომელიც რეფერალურ ჰოსპიტალშია გადაყვანილი.

მანქანას ზუგდიდის საკრებულოს წევრი სალომე ფაცაცია მართავდა.

მას რეფერალურ ჰოსპიტალში გამოკვლევები ჩაუტარდა. როგორც „ლაივპრესს“ საავადმყოფოს კლინიკურმა მენეჯერმა სულხან ორჟონიამ განუცხადა, პაციენტი გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაშია მოთავსებული.

– ჩაუტარდა შოკსაწინააღმდეგო ღონისძიებები. ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვით, – განაცხადა სულხან ორჟონიამ.

საერთაშორისო

ნეთანიაჰუს პარტია ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და მისი მოკავშირეები ისრაელში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდნენ.

ნეთანიაჰუს პარტია „ლიკუდი“ და მისი მოკავშირეები, სავარაუდოდ, ისრაელის 120-ადგილიან პარლამენტში 52 ან 53 ხმის მოპოვებას შეძლებენ, რაც უმრავლესობის მოსაპოვებლად არ არის საკმარისი.

ქვეყნის ოპოზიციური პარტიები დიდი ალბათობით, კოალიციის შექმნასა და უმრავლესობის მოპოვებას შეძლებენ.

ოფიციალურ შედეგებს ქვეყნის საარჩევნო კომისია რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს.

ისრაელში ბოლო ორი წლის განმავლობაში საპარლამენტო არჩევნები მეოთხედ ჩატარდა. წინა არჩევნების დროს ბენიამინ ნეთანიაჰუმ პარლამენტში კოალიციის შექმნა შეძლო.

კოლორადოში სუპერმარკეტში 10 კაცი მოკლეს

აშშ-ის ქალაქ ბოულდერში (კოლორადოს შტატი) 23 მარტს ტრაგედია მოხდა. უცნობმა პიროვნებამ სუპერმარკეტში სროლა ატეხა. შედეგად 10 კაცი დაიღუპა. აქედან ერთი პოლიციის ოფიცერია.

თავდამსხმელი დაკავებულია. მას აჰმად ალივი ალისა ჰქვია. ის კოლორადოს შტატის მცხოვრებია.

ალივი თავდაპირველად ყურადღებას არ იქცევდა. ის სხვა მყიდველებისგან არაფრით გამოირჩეოდა. სროლაც ანაზდად ატეხა.

კოლორადოს გუბერნატორმა ჯარედ პოლისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მთელი შტატი მომხდარი ტრაგედიით შეძრწუნებულია.

– ასეთი რამ ჩვენთან კარგა ხანია, ამ მომხდარა, – განაცხადა პოლისმა.

ტრაგედიას პრეზიდენტი ბაიდენიც გამოეხმაურა. მან დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იარაღის მიმოქცევის კონტროლი უნდა გამკაცრდეს.

– რაც შეიძლება სწრაფად მიღებულ უნდა იქნას კანონი, რომელიც იარაღის მიმოქცევის კონტროლს გაამკაცრებს, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ევროკავშირის ქვეყნებში პანდემია ძლიერდება

– ბევრ ევროპულ ქვეყანაში პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაცია უარესდება, რამდენადაც იზრდება კოვიდ-19-ით ინფიცირების რიცხვი, ჰოსპიტალიზებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა.

ამის შესახებ ევროკომისარმა ჯანდაცვის საკითხებში სტელა კირიაკიდესმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ჩვენ სულ უფრო საგანგაშო გარემოებების მოწმენი ვხდებით. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ 19 ქვეყანა კორონავირუსის შემთხვევების ზრდის შესახებ იტყობინება, ევროკავშირის წევრი 15 ქვეყანა აცხადებს, რომ გაიზარდა ჰოსპიტალიზებულთა და რეანიმაციულ განყოფილებებში მყოფთა რიცხვი, ხოლო 8 წევრი ქვეყანა სიკვდილიანობის რიცხვის ზრდის შესახებ აცხადებს.

რა თქმა უნდა, სიტუაცია შემაშფოთებელია, რადგან ბოლო კვირების განმავლობაში ვირუსის ახალი ვარიანტების რიცხვმა იმატა. „ბრიტანული ვარიანტი“ ახლა დომინანტური შტამია, რომელიც ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ცირკულირებს, – განაცხადა ევროკომისარმა.

ამის საპასუხოდ, კომისიამ განაცხადა, რომ იგი ამკაცრებს ევროკავშირში დამზადებული კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების ექსპორტის წესებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

კალეიდოსკოპი

დაღუპულად გამოცხადებული პოლიციელი 17 წლის შემდეგ ცოცხალი დაბრუნდა

პოლიციის ოფიცერი აბრიპა ასეპი, რომელიც ინდონეზიაში ცუნამის დროს დაღუპულად აღიარეს, 17 წლის შემდეგ ცოცხალი აღმოჩნდა.

ოჯახი თვლიდა, რომ ასეპი იმ სტიქიური უბედურების ასიათასობით მსხვერპლთა შორის იყო, რომელიც ქვეყანას თავს 2004 წლის 26 დეკემბერს დაატყდა თავს. გარკვეული დროის განმავლობაში ის უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში ირიცხებოდა, შემდეგ კი დაღუპულად ჩათვალეს. აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ის აჩეხის პროვინციაში მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებოდა. ის სამკურნალო დაწესებულებაში ფსიქიკური აშლილობის მიზეზით მოხვდა მას შემდეგ, რაც ცუნამის დროს გადაიტანა.

– ვერ დამიჯერებია, – აცხადებს ასეპის ერთ-ერთი ნათესავი, – 17 წელი მის შესახებ არაფერი გვსმენია და ამიტომ ჩავთვალეთ, რომ დაიღუპა. არ ვიცოდით, რომ ცოცხალი იყო.

თუ რატომ არ აცნობა ასეპის ოჯახს ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ მისი მათთან ყოფნის შესახებ, უცნობია.

ქმარმა ცოლს დანით 22 ჭრილობის მიყენება აპატია

ბრიტანეთის ჩრდილოეთ ლინკოლნშირის საგრაფოს მცხოვრებმა მამაკაცმა ცოლს, რომელმაც მას დანით 22 ჭრილობა მიაყენა, დანაშაული აპატია.

ჯონანა და კევინ სინგლტონები 25 წელი ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ისინი იდეალურ წყვილად გამოიყურებოდნენ, ერთმანეთს ყურადღებას არ აკლებდნენ და ერთნაირ სვირინგებსაც კი იკეთებდნენ. 2020 წლის სექტემბერში ჯონანას მეუღლის ერთგულებაში ეჭვი შეეპარა. დილით ადრე ის ქმარს თავს დაესხა და დანით უამრავი ჭრილობა მიაყენა ზურგისა და მკერდის არეში. მამაკაცმა გაქცევა ცადა, მაგრამ სისხლიან იატაკზე ფეხი აუცურდა და დაეცა.

კევინი სასწაულებრივად გადარჩა და რამდენიმე კვირა საავადმყოფოში გაატარა.

– იმ დღის დავიწყება არ შემიძლია, მაგრამ, მეორე მხრივ, მე მას ვაპატიე, – განაცხადა მამაკაცმა სასამართლოში. მის მეუღლესაც იმედი აქვს, რომ მომავალში მათი ურთიერთობა გაგრძელდება.

ქალს ექვსი წლითა და რვა თვით პატიმრობა მიესაჯა. მათმა შვილმა, ფოქსმა, რომელსაც ქალმა პოლიციელებისთვის დანების დამალვა სთხოვა, პირობითი სასჯელი მიიღო. გარდა ამისა, მას 150 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის შესრულება დაეკისრა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

დიდი პანდა ზოოპარკის თანამშრომელს თავს დაესხა

ბელგიის ზოოპარკში დიდი პანდა თავს დაესხა დაწესებულების თანამშრომელს. მამაკაცმა ტრავმები მიიღო, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაუდგენელი მიზეზით ზოოპარკის გამოცდილი თანამშრომელი ოთხი წლის დიდ პანდასთან, სახელად ტიან ბაოსთან პირისპირ მხოლოდ ზოოპარკის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ დერეფანში აღმოჩნდა. ცხოველმა ზედამხედველს დაზიანებები ფეხებსა და ხელებზე მიაყენა.

– თანამშრომლებისა და იქვე ახლოს მყოფი დამთვალიერებლების სწრაფმა ჩარევამ შესაძლებელი გახადა, ცხოველი ისე მოეშორებინათ, რომ თავად მას დაზიანებები არ მიეღო, – განაცხადა დაწესებულების თანამშრომელმა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაშავებულს ადგილზევე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ზოოპარკის ადმინისტრაციამ მომხდარის გარემოებების დასადგენად შიდაგამოძიება დაიწყო.

სახლში შეჭრილმა ლეოპარდმა გოგონა იმსხვერპლა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატში ლეოპარდის თავდასხმის შედეგად11 თვის გოგონა დაიღუპა, ხოლო კიდევ ხუთმა ადამიანმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წინა დღეს ქალაქ ინდაურში შენიშნეს ლეოპარდი. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მტაცებლისთვის ხაფანგი დადგეს, რომელშიც სატყუარად თხა იყო მოთავსებული, მაგრამ მტაცებელმა მიმალვა მოახერხა.

დილით ლეოპარდმა საცხოვრებელ სახლში შეაღწია, უკბინა ქალს, რომელიც სადილს ამზადებდა, შემდეგ კი მისი ქმარი დაჭრა, რომელიც სახლიდან მტაცებლის გაგდებას ჯოხით ცდილობდა. ამის შემდეგ ლეოპარდი მშენებარე სახლში შეიჭრა და ბავშვს თავს დაესხა.

მტაცებელი ცხოველი თავდასხმიდან ერთ დღეში დაიჭირეს. ოპერაციაში 40 ადამიანი მონაწილეობდა. მათ ლეოპარდი მშენებარე სახლში მიიმწყვდიეს, ბადეში გააბეს და ტრანკვილიზატორით დააძინეს.

ამ დროისთვის კი ცხოველმა კიდევ სამი ადამიანის დაშავება მოასწრო. მან დაჭრა დარაჯი, სატყეო მეურნეობისა და ზოოპარკის თანამშრომლები.

წყვილს სიკეთის კეთება დაუფასდა

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ უიჩიტოს მკვიდრმა შეყვარებულთან ერთად კეთილი საქმე გააკეთა და გამდიდრდა.

თომას ჯონსმა და კორტნი ფარბერმა ადგილობრივ სუპერმარკეტში ჯონსის დედისთვის პროდუქტების შესაძენად შეიარეს. უკვე სალაროსთან მყოფებმა კი გადაწყვიტეს, რომ რამდენიმე ლატარიის ბილეთიც შეეძინათ.

ერთ-ერთი ბილეთი მომგებიანი გამოდგა და მან წყვილს 75 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– ერთი რიგი გადავფხიკე და ვარსკვლავი დავინახე. მივხვდი, რომ პრიზი მოვიგე. თავიდან ვიფიქრე, რომ 75 დოლარი მოვიგე, მაგრამ დამცავი ფენის ქვევიდან ახალ-ახალი ნოლები ჩნდებოდა და მივხვდი, რომ ჩემმა მოგებამ 75 ათასი დოლარი შეადგინა, – განაცხადა ფარბერმა.

– არასოდეს ელი, რომ პირველ პრიზს მოიგებ. მომხდარის მანამდე ვერ დავიჯერე, სანამ მოგებული თანხა არ მივიღე, – განმარტა ჯონსმა.

მედდამ პაციენტების კორონავირუსით დაინფიცირების შიშით თავი მოიკლა

ინგლისის ქალაქ პლიმუთში მდებარე დერიფორდის საუნივერსიტეტო საავადმყოფოს მედდამ იმის შიშით, რომ კოვიდ-19-ით დაინფიცირებდა პაციენტებს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

26 წლის კეტი რეინოლდსმა მძიმედ გადაიტანა კოვიდ-19-ის პანდემია და ფსიქოთერაპიის გავლას აპირებდა, მაგრამ კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მკურნალობა გაურკვეველი ვადით გადაიდო. ახალგაზრდა ქალი საავადმყოფოს ჰემატოლოგიურ განყოფილებაში მუშაობდა და ყოველდღე პაციენტებთან ურთიერთობის შიშს განიცდიდა.

სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე რეინოლდსმა დახმარებისთვის კოლეგას მიმართა და საკუთარი განცდები გაუზიარა. ის ჩიოდა, რომ ცუდად ეძინა, ნერვიულობდა, დაძაბულობას და მორალურ გამოფიტვას გრძნობდა. ბოლო ხუთი-ექვსი კვირის განმავლობაში ბრიტანელს ხველება და ყელის არეში ტკივილები აწუხებდა. მას თვითიზოლაციაში გადასვლა და მკურნალობა ურჩიეს. ქალმა არ იცოდა, დაინფიცირებული იყო თუ არა კოვიდ-19-ით ან სხვა დაავადებით. მისივე აღიარებით, სამსახურში დაბრუნების ეშინოდა.

რეინოლდსი გარდაცვლილი მას შემდეგ აღმოაჩინეს, როდესაც მისი ოჯახის წევრები და მეზობლები შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ის ბოლო სამი დღის განმავლობაში სახლიდან არ გამოსულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

თეა წულუკიანს 3 მოადგილე ეყოლება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს თეა წულუკიანს 3 მოადგილე ეყოლება. მინისტრმა ისინი ჟურნალისტებს თავად წარუდგინა: კახა სიხარულიძე, სოსო გიორგაძე და იოსებ ბაღათურია.

კახა სიხარულიძე საერთაშორისო საკითხებზე იმუშავებს და ის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას დაიკავებს:

– ბატონი კახა სიხარულიძე ჩვენ ოთხს შორის ყველაზე პატივსაცემი ასაკის ადამიანია. მას აქვს ყველაზე დიდი გამოცდილება საჯარო სამსახურში მუშაობისა ჩვენ შორის და ასევე, აქვს პოლიტიკურ თანამდებობებზე ყოფნის ჩვენზე მეტი გამოცდილება, ვინც აქ ვართ. იგი გახლავთ კარიერული დიპლომატი. ის დიპლომატიურ სამსახურშია, ემსახურება საქართველოს 1993 წლიდან და საგარეო საქმეთა სამინისტროში იკავებდა სხვადასხვა დროს მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილის, სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობას და ის იყო ასევე გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერი. კახა სიხარულიძე გახლდათ ასევე ჩვენი ქვეყნის ელჩი ჩეხეთში, ჩინეთში, იტალიაში, სან-მარინოსა და მალტაზე. ის გახლავთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, იტალიის დიპლომატთა ასოციაციის საპატიო წევრი და ავტორი წიგნისა „ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკა“. ბატონი კახა ჩემთან ერთად იმუშავებს საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც მრავლად არის ამ სამინისტროში და მთლიანად სფეროსა და არა მხოლოდ ჩვენი სამინისტროს სსიპ-ებსა და ორგანიზაციებს, არამედ თითოეულ შემოქმედს ჩვენს ქვეყანაში დაეხმარება, რომ ქართული კულტურა უფრო მეტად გახდეს ხელმისაწვდომი საერთაშორისო ასპარეზზე, – განმარტა თეა წულუკიანმა.

სოსო გიორგაძე ახალგაზრდობის საკითხებს უხელმძღვანელებს და სპორტის საკითხების კურატორიც იქნება:

– კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე იქნება ბატონი სოსო გიორგაძე. მას ალბათ ჩემთან ერთად წარდგენა ნაკლებად სჭირდება, ვინაიდან ის, როგორც პროფესიონალი იურისტი, წლების განმავლობაში, როდესაც ჩვენ ფეხს ვიდგამდით პოლიტიკაში, იყო ჩემი გუნდის წევრი. მათ შორის 2012 წლის ზაფხულში. ის სხვადასხვა დროს იკავებდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობას, გახლდათ იუსტიციის სახლის გენერალური დირექტორი, სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, ბოლო დროს იყო და პირველ აპრილამდე კვლავ იქნება იუსტიციის მინისტრის მოადგილე. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკვე გამოსცა გადაწყვეტილება და პირველი აპრილიდან ის ჩვენთან ერთად ამ სამინისტროში შეუდგება მინისტრის მოადგილის მოვალეობის შესრულებას. უმნიშვნელოვანესია, რომ ის, როგორც ჩვენ შორის ყველაზე ახალგაზრდა, უხელმძღვანელებს სწორედ ახალგაზრდობის საკითხებს და სპორტის საკითხების კურატორიც იქნება, – განაცხადა მინისტრმა.

იოსებ ბაღათურია კი სამინისტროს საპარლამენტო მდივანი იქნება და საქართველოს კულტურის კოდექსის შექმნის პროცესს ჩაუდგება სათავეში:

– კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე იქნება ასევე ბატონი იოსებ ბაღათურია. ის მაღალკვალიფიციურია, გამოცდილია იურისპრუდენციაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პრაქტიკოსი იურისტია, არის იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო მრჩეველი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი. იოსებ ბაღათურია მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს. მას აქვს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, სასამართლო სისტემაში პრაქტიკული, ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება. ის იქნება ჩვენი სამინისტროს საპარლამენტო მდივანი და სათავეში ჩაუდგება საქართველოს კულტურის კოდექსის შექმნის პროცესს.

მადლობა მათ, რომ დათანხმდნენ ამ რთული სფეროს, რთული სამინისტროს ხელმძღვანელობაში ჩემს დახმარებას და ჩვენი ხელისუფლების სამომავლო გეგმების განხორციელებაში მონაწილეობას, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ბაია დვალიშვილი: „რაში აინტერესებს კულტურის მინისტრს, ჩემი აზრი საიდან მოდის?“

მსახიობისა და წამყვანის ბაია დვალიშვილისთვის გაუგებარია, რაში აინტერესებს კულტურის მინისტრს მისი აზრების წარმომავლობა:

– რაში აინტერესებს კულტურის მინისტრს, ჩემი აზრი საიდან მოდის? მე კი მაინტერესებს, რის გაკეთებას აპირებს კულტურისთვის!

აქამდე ვმუშაობდით და კარგადაც, სხვადასხვა აზრის მქონენი... და, საერთოდ, თეატრის შიდა საქმე მას არ ეხება! იმედია, როლების განაწილებაში არ მიიღებს მონაწილეობას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ვილი სანიოლი: „საქართველოს ნაკრებს რისკზე წასვლის გარეშე წარმატების შანსი არ აქვს“

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ვილი სანიოლის ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც რამდენიმე საინტერესო საკითხზე ისაუბრა.

– როგორ აღმოჩნდით საქართველოში?

– ნაკრებში მუშაობის დიდი სურვილი მქონდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ყოფილი ფეხბურთელები ხელმძღვანელობენ, რომელთა წინააღმდეგ გერმანიაში არაერთხელ მითამაშია. მათგან მოლაპარაკებების დაწყებისთანავე ვიგრძენი თავდაჯერებულობა და ეს ამბიციური წინადადება დიდი სიხარულით მივიღე.

– კარიერა საფრანგეთის 20 და 21 წლამდე ნაკრებებში დაიწყეთ, შემდეგ იყო ბორდო და მიუნხენის ბაიერნი. რატომ არ გააგრძელეთ მწვრთნელობა საკლუბო დონეზე?

– ძალიან მომწონდა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობა. საერთოდ, ეს საქმე მომწონს და ამ სფეროში დაბრუნება მსურდა. ამჟამად ვარ ქვეყანაში, რომელსაც განვითარების გაგრძელება სურს, მე კი შემიძლია სასარგებლო ვიყო. ჩემთვის ეს საშუალო ხანგრძლივობის პროექტია, რადგან დღევანდელ ფეხბურთში ხანგრძლივი პროექტები არ არსებობს... საკლუბო ფეხბურთში კი, მწვრთნელის პოზიციის არასაიმედოობა ამ საქმეს ართულებს და კარგი პროექტები ყოველთვის საჭირო დროს არ ხორციელდება.

– როგორ ხასიათზე დაგხვდათ გუნდი?

– ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი, როცა ვნახე, თუ როგორ დათმო საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საგზური ბოლო მატჩში. თუმცა, დავინახე, რომ კვალიფიკაცია შესაძლებელია და გუნდს ამის პოტენციალი აქვს. ჩნდებინან ახალგაზრდა ფეხბურთელები და მათთან მუშაობა ყოველთვის სასარგებლოა. ასე რომ, ეს პროექტი მომწონს, რადგან ის საჭირო დროს გამოჩნდა და საკმაოდ რეალისტურია. ძალიან კარგად ვიცით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას არ ვაპირებთ, მაგრამ გვაქვს კოლექტიური სურვილი, რომ პროგრესი გაგრძელდეს.

– მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე კონკრეტული მიზანი დაისახეთ?

– არა, კონკრეტული მიზანი არ არსებობს, რადგან რთულ ჯგუფში ვართ, სადაც ესპანეთის და შვედეთის სახით ჩვენზე გაცილებით გამოცდილი მეტოქეები გვყავს. ჩვენი მისიაა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპზე სხვა გუნდებს გავურთულოთ საქმე. ამისთვის გვაქვს ხარისხი და გვყავს ახალგაზრდა, ამბიციური ფეხბურთელები... ლიმიტი არ უნდა დავაწესოთ! გვსურს, გვქონდეს ჩვენი სათამაშო იდენტობა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მეტოქე.

– როგორ დაახასიათებდით ამ სათამაშო იდენტობას?

– ეროვნული გუნდის ამოცანა, პირველ ყოვლისა, თანამედროვე ფეხბურთთან ადაპტირებაა. ისინი დარწმუნებულნი არიან საკუთარ ხარისხში და ეს კარგია, რადგან თამაშის დროს რისკზე წასვლის შესაძლებლობას მოგვცემს. ისეთ გუნდს, როგორიც საქართველოს ნაკრებია, რისკზე წასვლის გარეშე წარმატების შანსი არ აქვს. არ შეგვიძლია მხოლოდ დაცვაზე ფიქრი იმის იმედით, რომ მეტოქე შეცდომას დაუშვებს. ჩემი ჩამოსვლის დღიდან, ვგრძნობ, რომ ყველას აქვს სურვილი, გადალახოს ეს ბარიერი. ქართველები ამაყები არიან, ჰყავთ მოთამაშეები, რომლებიც ევროპაში იკვლევენ გზას და სწორედ ისინი უნდა იყვნენ ამ გუნდის ლოკომოტივი.

– რა იქნება თქვენთვის დადებითი შედეგი საკვალიფიკაციო ეტაპზე?

– მხოლოდ შედეგებზე თუ ვისაუბრებთ, მესამე ადგილი ცუდი არ იქნებოდა. კარგი იქნებოდა, უფრო მაღალ მიზნებზე საუბარი, მაგრამ ჯერ ადრეა, განსაკუთრებით დღეს არსებული პირობების გათვალისწინებით, რაც ძალიან ართულებს გადაადგილებას. მაგრამ, ასეთ პირობებშიც კი, ღირსეულად უნდა ვიასპარეზოთ.

– მსოფლიოს ჩემპიონატებიდან ვინ არის თქვენი კერპი?

– როუე მილა. ჯერ კიდევ გონებიდან არ ამომდის სცენა, როგორ ცეკვავს კამერუნის ნაკრების 40 წლის ფეხბურთელი გატანილი გოლის შემდეგ! ჩემთვის ეს მსოფლიო თასის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მომენტია. ის ნამდვილი ლეგენდა იყო და საფრანგეთშიც ძალიან კარგადაა ცნობილი.

– მსოფლიოს ჩემპიონატებიდან თქვენი საყვარელი მატჩი რომელია?

– 1986 წლის საფრანგეთი-ბრაზილია, რადგან ეს არის ერთ-ერთი პირველი მატჩი, რომელიც მახსოვს. მაშინ 9 წლის ვიყავი. ზიკოს წარუმატებელი პენალტი ძირითად დროში, სოკრატესის გაფუჭებული პენალტი უკვე 11-მეტრიანების სერიაში, ლუის ფერნანდესის სიხარული... ეს შთამბეჭდავი მომენტები იყო.

– ვინ არის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე?

– შეიძლება, მხოლოდ ერთი იყოს და ეს მეფეა – პელე! ჩვენს სამყაროში, სადაც მედია და ვიზუალი ძალზე მნიშვნელოვანია, ისე ჩანს, თითქოს, ბევრი ვარსკვლავია, მაგრამ ისინი იმ ეპოქის პელეს ვერ შეედრებიან. მან ყველას აჯობა, თანაგუნდელებს, მოწინააღმდეგეებს... ასევე გულშემატკივრებს. ის ბრწყინვალე იყო!

– ამ გადასახედიდან, თქვენს საერთაშორისო კარიერას როგორ აფასებთ?

– ძალიან გამიმართლა, რომ შევძელი 2 მსოფლიო ჩემპიონატსა და 2 ევროპის ჩემპიონატზე თამაში. ჩემი ბავშვობის ოცნებების შემდეგ ეს საოცრება იყო. ვამაყობდი, რომ ჩემი ქვეყანა წარვადგინე და მისი მთავარი გუნდის მაისური ჩავიცვი. როცა მუნდიალზე ვთამაშობდი, პირველიდან ბოლო დღემდე მეჩვენებოდა, რომ დავფრინავდი. ეს მშვენიერი შეგრძნებაა. 2006 წელს ჩვენ მიწაზე დავეშვით და დიდი იმედგაცრუება ვიგრძენი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიმარჯვეთ. მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ყველაზე დიდი გამოცდილება ის უდიდესი ადამიანური თავგადასავალია, რომელიც მშვენიერ თანაგუნდელებთან ერთად განვიცადე.

– იმ მსოფლიო თასზე საფრანგეთმა 2 ფრით დაიწყო. როგორ მოახერხეთ რწმენის და კურსის შენარჩუნება?

– ყველამ იცის, რომ გუნდი, რომელიც საუკეთესოდ იწყებს, ყოველთვის შორს ვერ მიდის. ჩვენ გვჯეროდა საკუთარი თავის. მესამე თამაშში თითქოს რაღაცისგან გავთავისუფლდით. ამ გუნდში დიდი სიმწიფე იყო, მაგრამ სულაც არ გვეგონა, რომ ბოლომდე გავიდოდით. ამის მიუხედავად, ესპანეთის დამარცხებამ დიდი სტიმული მოგვცა.

– ზინედინ ზიდანს ფინალში გაძევების გამო კვლავ ადანაშაულებთ?

– რაც მახსოვს 15 წლის შემდეგ, არის ის, რომ ვთამაშობდი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გვერდით, რომელიც იყო არა მხოლოდ შესანიშნავი მოთამაშე, არამედ, შესანიშნავი ადამიანიც. შესაძლოა, ფინალში სისხლი აუდუღდა, მაგრამ ადამიანები შეცდომებს ყოველთვის ვუშვებთ. სამწუხაროდ, ეს ცუდ დროს მოხდა. თამაშის შემდეგ ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ მაშინაც ვერ ვიტყოდი, რომ არ მომხდარიყო, აუცილებლად გავიმარჯვებდით. ფეხბურთი გუნდური სპორტია და ახალგაზრდებამდე ყოველთვის უნდა მივიტანოთ ეს აზრი – ჩვენ ვართ პასუხისმგებელნი როგორც საკუთარ, ასევე გუნდის თამაშზე. როცა მინდორზე სისხლი დუღს, ამით უპირველესად საკუთარ გუნდს დასჯი.

– არის ზიდანი საუკეთესო ფეხბურთელი, რომელთანაც ოდესმე გითამაშიათ?

– ეჭვგარეშეა! ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კრიშტიანუ რონალდუსა და ლეო მესის შესახებ, რომლებიც გამორჩეული ფეხბურთელები არიან, რომელთა მიზანი ბევრი გოლია. ზიდანის შემთხვევაში, მისი მთავარი მიზანი გუნდის კარგად ათამაშება იყო. ამიტომ არის ჩემთვის ნომერი პირველი! მას შეეძლო, საკუთარი თავისთვის გაცილებით მეტი გაეკეთებინა და უფრო მეტად ინდივიდუალისტი ყოფილიყო, რადგან ამისთვის საჭირო კლასი ჰქონდა. მაგრამ სურვილი ჰქონდა, გუნდს და თანაგუნდელებს უკეთ ეთამაშათ. ძეგლის დადგმას მარტო ამისთვისაც იმსახურებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ვილი სანიოლი პირველ მატჩს დღეს, შვედეთის ნაკრების წინააღმდეგ, სტუმრად გამართავს. სტოკჰოლმში დაგეგმილი მატჩის გარდა, მარტის სანაკრებო პაუზის ფარგლებში, საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ესპანეთს უმასპინძლებს და საბერძნეთს ესტუმრება.

უკრაინელები წიტაიშვილს მისტირიან

უკრაინელები ჯერ კიდევ ვერ ინელებენ, რომ კიევის დინამოს აღზრდილმა და უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებებში ნათამაშებმა გიორგი წიტაიშვილმა საქართველოს ეროვნულ გუნდში თამაში არჩია. 20 წლის ფეხბურთელი უკრაინის ნაკრებთან ერთად 20-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია. უკრაინელები თვლიან, რომ ფიფას და უეფას ამ კუთხით უკვე პრობლემები აქვთ და თუ დროულად არ მოგვარდა, მთელი სანაკრებო სისტემა ჩამოშლებათ.

აი, რას წერენ უკრაინელები:

– უკვე დროა, მხარი დაუჭირონ იმ ფედერაციებს, რომლებიც ზრდიან ფეხბურთელებს, არა მარტო თავიანთი ნაკრებებისთვის, არამედ – სხვებისთვისაც. ადრე ყველაფერი მარტივად იყო – დაიბადე ამ ქვეყანაში, ესე იგი, ამ ქვეყნის ნაკრებში თამაში შეგიძლია. შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. არ დაგვავიწყდეს, რომ ნაკრების გაძლიერების სხვადასხვა მეთოდის გარდა, არის კიდევ „სისხლის წესიც“. თქვენ შეიძლება აღმოგაჩნდეთ ბებია სხვა ქვეყნიდან და იმ ნაკრებში თამაშიც მოახერხოთ.

1992 წლიდან მოყოლებული უკრაინული ფეხბურთი სხვა ქვეყნის ნაკრებებს კადრებს აწვდის. გავიხსენოთ ტერნავსკი, კანჩელსკისი, ონოპკო, იურანი, ნიკოფოროვი, ციმბალარი. დობროვოლსკი – ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. უკრაინული მედია ასევე წერს, რომ 90-იან წლებში რუსეთის ნაკრები ლამის სანახევროდ უკრაინული იყო. ახლა კი უკრაინის აღზრდილები თამაშობენ პოლონეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელარუსში, საქართველოში...

– უკრაინაში არიან აღზრდილი ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოს ნაკრებში მოხვდნენ: მიხეილ ფოცხვერია, ვაკო გვილია, ზაურ მახარაძე და ახლა უკვე წიტაიშვილიც.

გარდა ამისა, უკრაინელებმა დაახლოებით 50-მდე ფეხბურთელი გაიხსენეს, რომლებიც გაზარდეს და მერე დაკარგეს, რადგან სხვა ნაკრებებში გადაწყვიტეს თამაში.

– ერთი მხრივ, თუ ზრდასრული ადამიანი ქვეყანას უყურებს, როგორც გასაცვლელ მონეტას, მაშინ, სჯობს, წავიდეს! ნაკრებში უფრო სუფთა ჰაერი იქნება, მაგრამ ფიფამ და უეფამ კომპენსაცია უნდა დააწესოს იმ ფედერაციის სასარგებლოდ, რომელთაც ფეხბურთელები გაზარდეს და ასე იოლად შემოეცალნენ ხელიდან. ეს ხომ ხდება საკლუბო ფეხბურთში და რატომ არ უნდა შემოვიღოთ სანაკრებოში.

კუმანი ტრანსფერებში ჩაერთვება

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონას მთავარ მწვრთნელ რონალდ კუმანსა და კლუბის პრეზიდენტ ჟოან ლაპორტას შეხვედრა შედგა.

საუბრის თემას კუმანის მომავალი და სატრანსფერო გეგმები შეადგენდა. როგორც ირკვევა, ლაპორტამ ნიდერლანდელს სრული ნდობა გამოუცხადა და აცნობა, რომ გუნდს 2021-22 წლების სეზონშიც გაუძღვება. კუმანს ბარსელონასთან ხელშეკრულება 2022 წლამდე აქვს გაფორმებული.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ბარსას ახალი სპორტული დირექტორი მატეუ ალემანი და ტექნიკური მდივანი რამონ პლანესი.

ასევე განიხილეს მემფის დეპაის, ერიკ გარსიასა და ჟორჟინიო ვეინალდუმის პოტენციური ტრანსფერები და ისაუბრეს ლიონელ მესის ახალ კონტრაქტზე. შეგახსენებთ, არგენტინელ თავდამსხმელს კატალონიელებთან ხელშეკრულება ამ ზაფხულს ეწურება. რონალდ კუმანმა გამოთქვა სურვილი, ტრანსფერებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში მონაწილეობა აქტიურად მიიღოს.

58 წლის რონალდ კუმანმა ბარსელონა 2020 წლის აგვისტოში ჩაიბარა. ნიდერლანდელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით, ბარსას 43 მატჩი აქვს ჩატარებული, საიდანაც გუნდმა 29-ში გამარჯვების მოპოვება შეძლო, 8 მატჩი წააგო, 6 კი ფრედ დასრულდა. ბარსელონა ესპანეთის ჩემპიონატში 62 ქულით მეორე ადგილზეა. ცხრილს მადრიდის ატლეტიკო 66 ქულით ლიდერობს.

კუმანის შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა მერვედფინალში პსჟ-სთან 2 მატჩის ჯამში წაგების შემდეგ დაასრულეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

რუმინეთთან სამმაგი დატვირთვით ვითამაშებთ

სამმატჩიანი გასვლითი ტურნეს შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისშია და 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე მატჩს შინ, „მიხეილ მესხზე“ რუმინელების წინააღმდეგ გამართავს. ლევან მაისაშვილის გუნდი მოგების შემთხვევაში, ვადაზე ადრე გაინაღდებს ჩემპიონობას. თუმცა, ამ მატჩს სამმაგი დატვირთვა ექნება: გარდა 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონის ტიტულისა, ამ გუნდებს შორის გათამაშდება ტრადიციული, „ანთიმოზ ივერიელის თასი“ და წლევანდელი და მომავალი რაგბის ევროპის ჩემპიონატის ჯამის მიხედვით, ჯგუფში 2 საუკეთესო 2023 წლის მსოფლიო თასის საგზურს მიიღებს.

დღემდე გამართული 24 მატჩიდან (11-11 შინ და გარეთ, 2 ნეიტრალურზე), 14 ბორჯღალოსნების გამარჯვებით დასრულდა, 9 – რუმინეთის, ერთხელ კი, ფრე დაფიქსირდა. საქართველომ მეტოქეს გაუტანა 45 ლელო და 476 ქულა, თავად კი, 32 ლელო და 394 ქულა მიიღო.

რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ 12-ჯერ ვიჩემპიონეთ, ხოლო რუმინეთმა იგივე 5-ჯერ მოახერხა. „ანთიმოზ ივერიელის თასი“, „ბორჯღალოსნებმა“ 13-ჯერ მოიგეს, რუმინელებმა – 6-ჯერ.

2003 წლის შემდეგ, რუმინეთს საქართველოში არ მოუგია.

ამ გუნდების 25-ე დაპირისპირება კი, „მიხეილ მესხზე“ 28 მარტს 15 საათზე დაიწყება. გეტყვით იმასაც, რომ სტადიონზე ტევადობის 30% დაიშვება და ბილეთები უკვე გაყიდვაშია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯროსვოხდი ბ



შვეულად: 1. მადნის, ნახშირის და სხვა ნივთიერებების ნარევი ლითონის გამოსადნობად; 2. მუზეუმი პარიზში; 3. ქართული სანადიმო სიმღერა; 4. პატარა რესტორანი. 5. ქართული სამშენებლო კომპანია; 6. მუდმივი მყიდველი; 9. დაავადების ან მისი ნიშნების დამალვა ავადმყოფის მიერ; 10. უმაღლესი კვალიფიკაციის აფთიაქარი; 11. ავადმყოფური კბილების კრაჭუნი ძილში; 14. საწვავი სითხე; 16. მოკლე კინო-სარეკლამო რგოლი; 18. პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი გერმანელი ასტრონომი; 20. ღვინის დიდი ქვევრი; 23. ესკალატორის გამმგონებელი ამერიკელი ინჟინერი; 24. კათოლიკური ჯვარი; 25. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 26. ირლანდიური ცეკვა.

თარაზულად: 7. გერმანული ავიაკომპანია; 8. პრეზიდენტის სასახლე რომში; 12. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 13. სახელმწიფო აზიაში; 15. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 17. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 19. ფულის ერთეული სომხეთში; 21. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები; 22. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 27. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 28. საელჩოებისა და საკონსულოების თარჯიმანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. იუბილე; 2. შამოტი; 3. ლანჩი; 5. არგო; 6. ლუხუნი; 8. აპნისი; 11. ვილსდორფი; 13. მაესტრო; 14. თაკვერი; 15. ხარფუხი; 19. ხოტი.

თარაზულად: 1. ივანიშვილი; 4. ბაჯაღლო; 7. ბუდიზმი; 9. ჩამპინო; 10. კვოტა; 12. ჭვიშტარი; 16. გიორგობა; 17. ვერდერი; 18. კვაწარახი; 20. ფაიზერი; 21. სოჭი; 22. გარდიანი.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. აორტა; 2. წაბლი; 3. წაღვერი; 4. ეტლი; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ანჩისხატი; 14. ფეტვი; 16. არიბა; 18. კრაკოვი; 20. დარიალი; 23. კოკი; 24. ნაძვი; 25. კოალა; 26. ხოტი.

თარაზულად: 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. ონისე; 15. დუომო; 17. ტაბანყური; 19. კაისა; 21. ფაუნა; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. პასტორალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3413

ევრო — 3.9508

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5809

100 რუსული რუბლი — 4.3935

ამინდის პროგნოზი 25 მარტისათვის

კოუტინიოს შეძენით არსენალი დაინტერესდა



ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო დიდი ალბათობით ზაფხულში გუნდს დატოვებს და სავარაუდოდ კარიერას ინგლისში გააგრძელებს, სადაც მისი შეძენა რამდენიმე გუნდს სურს.

ყველაზე მეტად კოუტინიოს ყიდვით ლონდონის არსენალია დაინტერესებული, რომელიც მზად არის ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს, თუმცა თანხის ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით არ სახელდება.

კოუტინიოს ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

ბექჰემმა სოლსკიაერი შეაქო

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდამ დევიდ ბექჰემმა თავისი გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ სოლსკიაერი კლუბს კარგად უძღვება და წლევანდელ სეზონში მანჩესტერის კარგი შედეგი დიდწილად სწორედ მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა:

– ძალიან მომწონს წელს მანჩესტერის თამაში და გუნდს აშკარა პროგრესი აქვს, რაც სოლსკიაერის დამსახურებაა. მინდა, რომ ჩემი ყოფილი გუნდი ინგლისის ჩემპიონი გახდეს, თუმცა წელს ეს თითქმის წარმოუდგენელია.

პედრი: „მხოლოდ აწმყოზე ვფიქრობ“



ბარსელონას ახალგაზრდა ნახევარმცველმა პედრიმ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მას ბარსელონას უკავშირებს. პედრიმ ასევე აღნიშნა, რომ ის მომავალზე ხშირად არ ფიქრობს და ზოგადად აწმყოზე არის კონცენტრირებული:

– მინდა, რომ ბარსელონასთან ერთად ბევრი ტიტული მოვიგო და ამ გუნდში ბევრი წელი გავატარო, თუმცა მომავალზე ბევრს არ ვფიქრობ. მინდა, რომ დღევანდელი დღით ვიცხოვრო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინწინ ქალი გავიცანი და მითხრა: „ხვალე სახლში მოდი, არავინ იქნება“.

– მერე?

– მივედი და მართლა არავინ დამხვედრია.

•••

ქალი ექიმს ეუბნება:

– იცი, ექიმო, თავში გამუდმებით მუსიკა მესმის.

– მერე რა?

– ის, რომ ასეთი მუსიკა არ მომწონს!

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– მაპატიე, მაგრამ მე ის არ ვარ, ვინც შენ გჭირდება.

– და ვინ მჭირდება?

– ფსიქოთერაპევტი.

•••

ცოლი და ქმარი სამზარეულოში სხედან. ამ დროს კედლის მეორე მხრიდან ხმა ისმის:

– ოჰ, თქვენი დებილი...

– აუ, სულ დამავიწყდა, მიდი, ქალო, ტელევიზორი ჩართე, დღეს ჩვენი ნაკრები თამაშობს.

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– სამაგიდო თამაშები გიყვარს?

– კი, მიყვარს.

– მიდი, დაწექი მაგიდაზე...

•••

კაცმა ახალი ავეჯი იყიდა და ძველს ფანჯრიდან ყრის. მეზობელმა დაინახა და ეუბნება:

– ბიჭო, ვინმეს არ დაეცეს, სანამ გადააგდებ, დაიყვირე მაინც.

– მე რატომ უნდა დავიყვირო, ვისაც დაეცემა, იმან დაიყვიროს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოფო შევარდნაძე ბიჭის დედა გახდა



ჟურნალისტი სოფო შევარდნაძე ბიჭის დედა გახდა. მისი პატარა 3.3 კგ და 52 სმ დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

42 წლის ჟურნალისტმა თავის პატარას ანდრია დაარქვა. სოფო ისევ საიდუმლოდ ტოვებს ბავშვის მამის ვინაობას, რაც ცნობისმოყვარეებს ყველაზე მეტად აინტერესებთ.

ირაკლი მაქაცარია უკრაინულ „მასტერშეფში“ მონაწილეობს

გადაცემა „პრაიმ შოუს“ წამყვანი ირაკლი მაქაცარია უკრაინულ „მასტერშეფში“ მონაწილეობს.

როგორც თავად ამბობს, კულინარიაში დიდად დახელოვნებული არ არის, თუმცა გამოწვევაზე უარი არ უთქვამს და სჯერა, რომ ნელ-ნელა დაიხვეწება და კარგი კულინარი დადგება.

ირაკლი მაქაცარია უკრაინაში არაერთი რეიტინგული გადაცემის მონაწილეა. ის ყველაზე სასურველ სასიძოდ არის დასახელებული და უკრაინელ გოგონებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ანიტა რაჭველიშვილი: „ჩემი ფეხი არ დადგება სცენაზე საქართველოში იქამდე, სანამ კულტურას წულუკიანი მართავს!“

ეს განცხადება მსოფლიოში აღიარებულმა ოპერის მომღერალმა ანიტა რაჭველიშვილმა საჯაროდ გააკეთა:

– ჩემი ფეხი არ დადგება სცენაზე საქართველოში იქამდე, სანამ კულტურას წულუკიანი მართავს!

გააგრძელეთ დუმილი! დღეს უკვე მოგვახსენა ყველას, რომ მისი აზრის საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა ვთქვათ, თორე...

ბიბი კვაჭაძე: „თუ მთავრობა ხარ, იზრუნე ჩვენზე“

მუსიკოსი ბიბი კვაჭაძე მთავრობას მოქალაქეებზე ზრუნვას სთხოვს და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ურჩევს:

– საქართველოს მთავრობა – თუ მთავრობა ხარ, იზრუნე ჩვენზე, მუსიკოსებზე და მოქალაქეებზე, რომლებიც კომენდანტის საათის გამო უმუშევრები დავრჩით და შემოსავალი ნული გვაქვს!

ღამის 12-დან დილის 5-მდე გადაიტანეთ კომენდანტის საათი და შეგვიწყვეთ ხელი, რომ 12-მდე ვიმუშაოთ.

ჩვენ შვილები და ოჯახი გვყავს სარჩენი და უმუშევრობის გამო, ფინანსურ კრიზისში ვართ.

და თუ არ ხარ მთავრობა – გვითხარი და გვეცოდინება, რომ შენი იმედი არ უნდა გვქონდეს!

ირმა სოხაძე: „ხელისუფლებისადმი თბილად განწყობილი საზოგადოება ვიჩაგრებით“

მომღერალი ირმა სოხაძე აცხადებს, რომ კონცერტებზე იმ ხელოვანებს უფრო ეძახიან, ვინც ნაციონალების მხარესაა:

– ვინც ნაციონალების მხარესაა, იმ ხელოვანებს უფრო ეძახიან კონცერტებზე იმის შიშით, რომ რამე არ თქვან, ჩვენ კი, ხელისუფლებისადმი თბილად განწყობილი საზოგადოება, ვიჩაგრებით.

ოქროს მაძიებლებმა მეტეორიტი იპოვეს და გამდიდრდნენ

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მკვიდრმა ორმა მეგობარმა მათ მიერ ნაპოვნი 25– კილოგრამიანი უიშვიათესი მეტეორიტი 200 ათას ავსტრალიურ დოლარად გაყიდა.

2016 წელს პოლ მაკრეი და ჯონ მილერი სახლში ბრუნდებოდნენ საძოვრიდან, სადაც მთელი დღე ოქროს ძებნით იყვნენ დაკავებული. მოულოდნელად მაკრეის ლითონმაძიებელმა ხელსაწყომ სიგნალი გამოსცა. მათ მიწის თხრა დაიწყეს და უჩვეულო ქვა ამოთხარეს.

ერთი წლის შემდეგ მათ გადაწყვიტეს, 25-კილოგრამიანი ქვა ავსტრალიის გეოლოგიურ ბიუროში მიეტანათ და აღმოჩნდა, რომ ის ექვსიდან ერთ-ერთი უნიკალური მეტეორიტი იყო.

როდესაც მეცნიერ სტივენ პეტკოვსკის აცნობეს, რომ ორმა მამაკაცმა კვინსლენდიდან ავტომობილის საბარგულით ქვა მიიტანა, ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, მაგრამ, როგორც კი ქვას თვალი შეავლო, მაშინვე მიხვდა, რომ ის მსხვილი რკინის მეტეორიტი იყო.

– ეს უიშვიათესი ტიპის მეტეორიტია, რომელიც შეიცავს სულფიდით გამდიდრებულ რკინასა და იშვიათ მინერალს, ტროილიტს, – განმარტა პეტკოვსკიმ.

ასეთი სახის მეტეორიტი მანამდე ხუთ ადგილას იქნა ნაპოვნი, მათგან ოთხი – ანტარქტიდაში, ხოლო ერთი – აშშ-ში. მეცნიერები მათი დედამიწაზე ჩამოვარდნის ვადის დადგენას ცდილობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნიკოლოზ ლაგვილავა: „ხელოვანი და შემოქმედი ადამიანი დაუმორჩილებელი და ბობოქარია“

აცხადებს ოპერის მომღერალი ნიკოლოზ ლაგვილავა:

– ერთი თხოვნა მექნება, ამ ერთ დროს ქვეყანას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და გაგიკვირდებათ და ძალიან გვიყვარს, თუ ვინმე იცნობს მსოფლიოში და პატივს სცემს, დიდი დამსახურებაა ქართველი ხელოვანების, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ საკუთარი ქვეყანა ასახელონ და გააცნონ დედამიწას. ასევე საქართველოში მოღვაწე ხელოვანებს, რომლებიც თითქმის ენთუზიაზმზე ემსახურებიან საკუთარ საქმეს თავიანთი ნიჭით და პროფესიონალიზმით. ნუ ვატკენთ ამ ადამიანებს გულებს.

გაითვალისწინეთ, რომ ხელოვანი და შემოქმედი ადამიანი დაუმორჩილებელი და ბობოქარია, ეს ავადსახსენებელი რეპრესიების დროს ყველაზე კარგად გამოჩნდა. ნუ გავიმეორებთ წარსულის დამღუპველ შეცდომებს.

ამ გახსენებაზე – არტურო ტოსკანინი მუსოლინის თეატრში ერთი ლოჟიდან მეორე ლოჟაში მკვლელს მოღალატეს და გათახსირებულს ეძახდა. დუჩემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ტოსკანინი ამერიკაში წასულიყო და დახვრეტას გადაარჩინა. ეს ისე, ისე... ძალიან დიდი მადლობა ყურადღებისათვის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 მარტისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **შერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვროსვოხდი ა



შვეულად: 1. რთული, დახლართული საქმე სასამართლო პრაქტიკაში; 2. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 3. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 5. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 6. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. საფრანგეთის ნაკრებისა და „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 11. აეროპორტი ბრიუსელში; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 15. ხეხილის ბაღი; 19. თეატრის მსახიობთა კოლექტივი.

თარაზულად: 1. ზედაგადასახდელიანი მსუბუქი ავტომობილი; 4. მოღალატე, ვერაგი, გაუტანელი ადამიანი; 7. საოჯახო ნივთების შესანახი, სახურავიანი სკივრი; 9. საჭრისის სამაგრი სახარატე ჩარხზე; 10. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 12. ბერძნული ფილოლოგიის მკვლევარი; 16. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი; 17. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. გულუბრყვილო, მიმნდობი ადამიანი; 21. ციტრუსოვანი ხილი; 22. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა